სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ქალაქის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 173 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 173

მწუხარებით გულ მოკლული დედა ეფიმო, ძმები არქიფო და იასონი, რძლები თეკლე და ტერეზი ბერაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**მიშა პავლეს ძე ბერაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. თფილისში 13 აგვისტოს. 14 აგვისტოს, სად. 10 საათზე წაასვენეს ს. ჯვარცხმაში (გურია).

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნა დაი ამინადარ, სიძე ტატო, დისშვილები პროკოფი, ფაცია, გრიშა, შალიკო და თამრო ბერძენიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**მიშა პავლეს ძე ბერაძის**

უდროო გარდაცვალებას. (1—1)

---

ბიძა სამსონ, ბიცოლა ნინო, ბიძაშვილი გერმანე პაიჭაძეები, ნათლიმამა სამსონ და ნათლიდედა ლისა გიორგაძეები შვილებითურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარი

**მიშა პავლეს ძე ბერაძის**

უდროო გარდაცვალებას. (1—1)

---

გულდათუთქულნი ბიძები ეტლია და ეპიფანე, ბიცოლები მინა და მართა, ბიძაშვილები: ნოე, თამარა, ქსენია, შოთა და ჭოლა პაიჭაძეები, სიძე მიხაკო, ბიძაშვილი ელემენცი ბურჭულაძეები შვილებითურთ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ძვირფასი და დაუვიწყარი

**მიშა პავლეს ძე ბერაძის**

უდროო გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. თფილისში 13 მარიამობისთვეს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ. (1—1)

---

ბიძაშვილები გაბრიელ ბესარიონის ძე და კეკელა სამსონის ასული ბერძენიშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**მიშა პავლეს ძე ბერაძის**

უდროო გარდაცვალებას. (1—1)

---

ირაკლი მგალობლიშვილი აუწყებს თავის ნაცნობ-ნათესავთ უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელ მეუღლის

**ნინა ბესარიონის ასული მგალობლიშვილი-ქართველიშვილისა.**

დაკრძალვა კვირას 18 აგვისტოს 9 საათზე რეუტოვის ქ. 15. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, ჩუღურეთი, იქიდან კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ საღამოს. 2—1

---

კვირას, 18 აგვისტოს პეტრე-პავლის ეკლესიის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის

**მარიამ (მარუსა) ივანეს ასული მიქაძის**

და სამი წლის თავი თფილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის

**დიმიტრი (მიტუშა) ივანეს ძე მიქაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ივანე როსტომის ძე და ივდითი ახარობელის ასული მიქაძენი, შვილები მათი ნიკოლოზ, თამარ, ნინო, გიორგი და ელენე. (2—1)

---

თავზარ დაცემულნი მშობლები ალექსი და როქსანა ბერუჩაშვილები, გულმოკლული დები რისიმე და ნინო, სიძეები ალექსი დვალი შვილებით; მარო და თამრო, ვარლამი შანიძე აუწყებენ ნაცნობთ, რომ 15 აგვის. გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**ბიჭიკო (სილიბისტრო) ალექსის ძე ბერუჩაშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას 18 ამ თვეს საათის 10. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 100. (2—1)

---

პოდპორუჩიკი ილიკო მიზარბეგოს ძე კვინტრაძე გულითადი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს უდროვო გარდაცვალებას საყვარელი მონათლულის

**მიშა ვლადიმერის ძე ჩხაიძისას.**

---

## ქ. ლანჩხუთში

კვირას, 18 აგვისტოს დანიშნულია ქ. ბათუმის მუშათა დეპუტატების კავშირის

**საბჭოს კრება.**

განსარჩევია მეტად საჭირო კითხვები. წევრების დასწრება სავალდებულოა.

2—1 პრეზიდიუმი.

---

## ქართულ-გერმანულ კულტურული საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა სამუშაო სრულიად დაამთავრა.

## საზოგადოების საზოგადო კრება

შესდგება კვირას, 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ყოფილ სადგომში (ფრე ლინის ქ. № 11).

**დღის წესრიგი:** 1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) სექციათა (სალიტერატურო, სამეურნეო და სასკოლო) არჩევნები, 3) სამოქმედო პროგრამის მთავარი დებულებების (სტატუტების) გამომუშავება.

3—3 საორგანიზაციო კომიტეტი.

---

## კონტრ-რევოლუციონერები

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენში ბურჟუაზიული პარტია არ არსებობს, რაც ტრაგიკულ მდგომარეობაში აგდებს რევოლუციის მებაირაღტრეს—პროლეტარიატს და მის პარტიას—სოციალდემოკრატიას: ის ცვლილება, რომელიც დღეს ხდება, არსებითად ბურჟუაზიულ წყობილების შექმნას და განმტკიცებას ემსახურება. რასაკვირველია, პროლეტარიატი და მისი პარტია ისეთს სოციალურ რეფორმებსაც ანხორციელებენ, რომელიც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი არაა, მაგრამ მთავარი შინაარსი ამ კლასის და მისი პარტიის მოღვაწეობისა მიმართულია ფეოდალიზმის წინააღმდეგ და ბურჟუაზიულ საზოგადოების დამყარებას უწყობს ხელს.

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამ ორ კლასს შორის დამყარდებოდა ნორმალური ურთიერთობა: ისინი ზოგიერთ საკითხებში ბრძოლას გამოუცხადებდნენ ერთმანეთს, მაგრამ საერთო სამოქმედო გზაც იქნებოდა გამონახული. და რადგან ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის რეჟიმის დროს დაირაზმა ჩვენში მუშათა კლასი და მისი პარტია მტკიცეთ შეუდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებას, მოსალოდნელი იყო, რომ ბურჟუაზია და მისი პარტია მას მხარს დაუჭერდა და ძველი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებდა.

მაგრამ ეს ასე არ ხდება.

პრესაში თუ საჯარო კრებებზე, კულტურულ დაწესებულებებში თუ პარლამენტის ტრიბუნიდან—დიდი რიხით და თავმოწონებით გაიძახიან საქართველოს ნორჩ ბურჟუაზიის პარტიის წარმომადგენლები—ეროვნული დემოკრატები, რომ ისინი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურებიან, მაგრამ საქმით და მოქმედებით ყოველ ფეხის გადადგმაზე ეწინააღმდეგებიან ამ სახელმწიფოებრიობას და შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ძირს უთხრიან საქართველოს დამოუკიდებლობას. შესაძლოა, მათ კარგი სურვილებიც ქონდეთ და ამით აიხსნებოდეს მათი დაუსრულებელი ლაპარაკი, მაგრამ ცარიელი ლაპარაკით ხომ ვერ აშენდება სახელმწიფო ავილოთ, მაგალითისთვის, მათი შეკითხვა მთავრობისადმი რკინის გზის მთავარ კომიტეტის მოღვაწეობის გამო. რას უსაყვედურებენ მთავრობას, რას უწუნებენ მთავარ კომიტეტს? ამბობენ: რკინის გზის მთავარი კომიტეტი მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის საქმეში ერევა და ამით სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ითვისებსო. უნდა აღვნიშნოთ, რომ დედა აზრი მათი შეკითხვისა სწორია: რკინის გზის კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს პროფესიონალურ ორგანიზაციას და ამ უკანასკნელს, ცხადია, ნება არ უნდა ქონდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ჩაერიოს: რკინის გზის საადმინისტრაციო პირების დათხოვნა-მიღება რკინის გზების უფროსის და მინისტრის საქმე უნდა იყოს.

მაგრამ განა მარტო რკინის გზების საქმეშია ასეთი მდგომარეობა? აიღეთ ჯარი, სასამართლო, ადმინისტრაცია: არც ერთს დარგში ნორმალური წესი ჯერ არ არის დამყარებული. საჭიროა გვარდიის მაგიერ მოეწყოს რეგულიარული ჯარი და სახალხო მილიცია, შემთხვევით შედგენილ ტრიბუნალების ნაცვლად უნდა მოეწყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი; ალმასრულებელ კომიტეტების ადგილი უნდა დაიჭიროს ერობამ და სხვ.

მაგრამ კითხეთ ეროვნულ-დემოკრატებს: რა უნდა ვქნათ მანამდე, სანამ ასეთი ნორმალურ ტიპის დაწესებულებები გვექნებოდეს? პასუხი აშკარაა: გვარდია უნდა დაითხოვოთ, აღმასრულებელი კომიტეტები და ტრიბუნალები გარეკოთ და სხვ. მაგრამ როცა ამ დაწესებულებებს გააუქმებთ, საჭიროა თუ არა რამე სამაგიერო დაწესებულება? განა ეროვნულ-დემოკრატებმა არ იციან, რომ გვარდია გვიფარავს შინაურ და გარეშე მტრისაგან? განა არ იციან, რომ ტრიბუნალები, მიუხედავათ მრავალ ნაკლისა, მაინც სასამართლოს ფუნქციებს ასრულებენ? ასეა რკინის გზის მთავარ კომიტეტის საქმეც. ამ კომიტეტმა გადაარჩინა დღემდე რკინის გზა სრულს განადგურებას. მანვე იკისრა მთავრობის დავალებით მოსამსახურეების დათხოვნის საქმე შტატების შემცირების გამო. კომიტეტს რომ შეცდომები მოუვიდოდა, ეს ჩვენ გვჯერა—განა არის ვინმე შეუცდომელი ქვეყანაზე,—მაგრამ სხვის უფლებების მითვისებაზე რომ ლაპარაკობენ ეროვნულ-დემოკრატები—ეს არ არის რიგიანობა, რადგან სიმართლეს არ შეეფერება.

ვიმეორებთ, ჩვენ არ ვთვლით ნორმალურათ არსებულ მდგომარეობას. მაგრამ საქმის გამოსასწორებლათ ანარქიის მოსპობაა საჭირო, ნაციონალ დემოკრატები კი ამ ანარქიას ხელს უწყობენ. მათ კარგათ იციან, რომ შტატების შემცირების გამო, ბევრი მოსამსახურე დარჩა სამსახურს გარეშე და რკინის გზის წინააღმდეგ უსაბუთო ბრალდებების წამოყენებით სურთ ამ უკმაყოფილო ელემენტებით ისარგებლონ.

რა არის ეს: სახელმწიფოს შენება თუ მისი დანგრევა?

რათ ხდება ასე? იმიტომ, რომ ჩვენს ბურჟუაზიას არ ყავს იდეოლოგები, ნაციონალ-დემოკრატები კი წარმოადგენენ ჩვენებურ გადაგვარებულ თავადაზნაურობას, რომელიც მტერია რევოლუციის.

## ისევ გორის ტრიბუნალზე

გაზეთ „საქართველო“-ში ვინმე ლ. ჯაფარიძემ ჭორებით და ცილისწამებით სავსე წერილი უძღვნა გორის სარევოლუციო ტრიბუნალს. სხვათა შორის, ასეთი ბრალი დასდო მას: „გორის სარევოლუციო ტრიბუნალს გამოაქვს სასიკვდილო განჩინებანი, რომელნიც შეიძლება შეიცვალონ 3000 მანეთის ჯარიმის გადახდით“.

ასეთს ცნობას ბ. ლ. ჯაფარიძე დასძენს: „ეს არის სიცოცხლის ნიხრი. თუ გაქვთ ეს ფული, სიცოცხლის უფლებაც გეძლევათ; თუ არა და მიიღებთ მისაწვევ ბარათს საიქიოსკენ“.

ჩვენ მოვთხოვეთ ავტორს ამ საარაკო ბრალდების დამტკიცება.

როგორ მოიქცა ჯაფარიძე? იქნებ მან მოიყვანა საბუთი? საბუთი მას არ წარმოუდგენია. იქნებ დუმილი არჩია? არა, ეტყობა ბ. ჯაფარიძისათვის უცხო ხდება გრძნობა სირცხვილისა.

ამიტომ შესდგომია ის ასეთის „საბუთების“ მოყვანას:

1) გორის სარევოლუციო ტრიბუნალმა ვეზირიშვილის მკვლელს შემდეგი განაჩენი გამოუტანა: За причастность къ убійству и грабежу 3 тысячи рублей штрафу.

2) უდანაშაულოდ დატუსაღებული ბორჯომის სასურსათო მაღაზიის გამგე კვაკვიძე არ გაანთავისუფლეს, ვიდრე მან სამი ათასი მანეთი ჯარიმა არ გადიხადა.

3) ერთს ბრალდებულს ტრიბუნალმა შემდეგი განაჩენი გამოუტანა: тюремное заключеніе до окончанія революціи. და როდესაც ამ ბრალდებულის დამცველმა ვექილმა ამირაღოვმა წერილობით მოითხოვა განმარტება, თუ როდის გათავდება ეს რევოლუცია, ტრიბუნალმა დამცველს ასეთი კონტრრევოლუციონერობისათვის სიკვდილით დასჯა დაუპირა. ვექილი ამირაღოვი გორიდან თფილისში გამოიქცა და ეხლა აქ ეძიებს სამართალს“.

შეადაროს მკითხველმა ეს „საბუთები“ ზემოთ მოყვანილ ბრალდებას და მისთვის აშკარა გახდება ბ. ლ. ჯაფარიძის ლიტერატურული რიგიანობა. ამტკიცებდა: ვინც ფულს გადაიხდის შეუძლია სიკვდილს გადარჩესო და ამის დასამტკიცებლათ კი მოყავს აღნიშნული ფაქტები, ისიც ასე განმარტებით: უდანაშაულოთ დაჭერილი კიკვიძე, ამირაღოვს სიკვდილით დასჯა დაუპირა გორის ტრიბუნალმა ბ სხ. საიდან იცის ლ. ჯაფარიძემ, რომ კიკვიძე უდანაშაულოთ იყო დატუსაღებული? იცის თუ არა ლ. ჯაფარიძემ, რისთვის გამოიქცა გორიდან ვექილი ამირაღოვი? ან რა გორის ტრიბუნალის ბრალია, თუ „დახვრეტილმა“ ტუსაღმა იუსტიციის მინისტრს წერილი მისწერა.

და ასეთი „მწერალი“ ბ. ლ. ჯაფარიძე კიდევაც გვიწყრება: როგორ გამიმტყუნეთ და ცილიც დამწამეთო.

რაც გნებავთ უწოდეთ თავის თავს, ბ. ლ. ჯაფარიძევ, მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარაა:

იმის მაგიერ, რომ გორის ტრიბუნალის ნამდვილი ნაკლი აღგენიშნათ, თქვენ მას მიაწერეთ ისეთი რამ, რასაც ადგილი არ ქონია, ამას კი ცილისწამება ეწოდება.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

14 აგვისტო.

**ბერლინი.** ოფიციალური. 11 აგვისტოს დილით ფრიიზიშენის კუნძულზე (?) ჩვენმა მზვერავმა აპარატებმა და აგრეთვე ზღვაზე მყოფმა აეროსტატმა შენიშნეს ჰოლანდიის ჩრდილოეთით ინგლისელთა საზღვაო დიდი მებრძოლი ძალა, რომელიც შესდგებოდა 25 გემის, 6 ჯავშნოსანი კრეისერის, დიდძალი გამანადგურებელი ნავების, ნაღმთა ფლოტილია. მათ თან მოჰყავდათ 6 ჩქარა მავალი ნავი, რომელთაც, ალბათ, დავალებული ჰქონდა დიდძალი ნაღმი ჩაეყარა. ინგლისის ფლოტილია ნემეცთა ნავსაყუდელისკენ მოდიოდა. ჩვენმა აეროპლანებმა და ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაყარეს ჩქარა მავალ ნავებს. გაანადგურეს 3 ნავი და დანარჩენებიც ძალზე დააზიანეს. ამასთანავე მოხდენილათ მოარტყეს ყუმბარა ჯავშნიან კრეისერს და ნაღმის სასროლ გემს. ნაღმის სასროლი გემი ისე დაზიანდა, რომ ბრძოლის გათავებისას იძირებოდა. ჩვენმა საზღვაო ძალებმა, რომლებიც შემდეგ მოვიდენ ველარ შეაჩერეს გაქცეული მოწინააღმდეგე. ჩვენ დავღუპეს აეროსტატი და აეროპლანი.

**მოსკოვი.** მოსკოვის რადიო სადგურიდან გაგზავნილია ფრანგულ ენაზე ელჩ იოფესადმი ბერლინში შემდეგი რადიო დეპეშა: უკანასკნელ დღეებში ჩეხო-სლოვაკთა ფრონტზე საქმე საბჭოთა ჯარების სასარგებლოთ მიმდინარეობს. მიუხედავათ ინგლის-საფრანგეთის მხარის დაჭერისა ჩეხო-სლოვაკები მარცხდებიან. ჩვენი ჯარები სამის მხრით მიდიან ეკატერინბურგზე. რევოლუციონური ჯარი ყველგან შეტევაზე გადავიდა. ჩეხო-სლოვაკები უკან იხევენ. გზებს ანადგურებენ. ეკატერინბურგში მათ მოწოდებაც კი გაავრცელეს, სადაც სწერენ—ქალაქს ვტოვებთო. ჩემი ჯარები სადგურს სადგურებზე იღებენ. სახალხო კომისარი ტროცკი ფრონტზე იმყოფება ერთი ადგილიდან მეორეში გადადის, ამხნევებს პირადი მაგალითის მიცემით პროლეტარულ ჯარს. ვოლგის რაიონი სულ მოკლე ხანში საბჭოთა მთავრობის ხელში იქნება. მუშათა და საბჭოთა ორგანიზაციები თავის საუკეთესო წევრებს გზავნიან ომში, რკინის გზის მოსამსახურენი მთელი ძალღონით მუშაობენ. რუსის პროლეტარიატს სურს გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს კიდეც. ჩიჩერინი.

15 აგვისტო

**მოსკოვი.** გამოიცა დეკრეტი სურსათის შესახებ, რომლის ძალით მუშათა პროფესიონალურ კავშირების დიდ კავშირებს, საქარხნო კომიტეტებს და მუშათა საბჭოებს ნება ეძლევათ მუშებისაგან და გლეხობის ღარიბეს ელემენტებისაგან შეადგინონ სურსათის მომკრები რაზმები, რომელნიც წავლენ მოსავლიან გუბერნიებში პურის მაგარ ან სარეკვიზიციო ფასებში სოფლის „კულაკებისაგან“ შესაძენათ. რაზმების მეთაურნი იქნებიან პასუხისმგებელნი პირნი.

**ბუქარესტი.** პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა არიონმა სთქვა: არავისათვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ რუმინიის მომავალი ეკონომიური ცხოვრება შეკავშირებული იქნება გერმანიის კოალიციასთან. გერმანია იყიდის ჩვენგან პურს, ჩვენ კი ვიყიდით მისგან სხვადასხვა საქონელს. ჩვენთვის საჭირო საგნებს ჩვენ ვერ მივიღებთ ვერც ინგლისიდან და ვერც ამერიკიდან. სამთა კავშირი ფიქრობს გერმანია ჩაჭედოს გარდუვალ ეკონომიურ კედლებში, მარა ეს კედლები ერთის წუთითაც კი ვერ გაუძლებენ იმ ხალხთა რისხვას, რომელნიც მოწადინებულნი არიან იცხოვრონ მშვიდობიანათ და უნდათ განვითარება და წინსვლა.

**ბერლინი.** 14 აგვ. დასავლეთის ფრონტი. იზერსა და სკარპას შუა ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ მიდის. მერისის სამხრეთით და ლისის სამხრეთ დასავლეთით მტრის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. პატარა ხასიათის შეტაკებებია სომის მხრივ დავრის ჩრდილოეთით. ლასინიის დასავლეთ ნაწილიდან მტერმა შემოტევა განაახლა. კანის ორივე მხარეზე მტრის შემოტევა უკუქცეულ იქნა. კრონ პრინცის არმიას უმნიშვნელო შეტაკებები ჰქონდა.

**ვენა.** იტალიის ფრონტი. 14 აგვისტო. გუშინ ტონალეს მიდამოებში მტერმა დაიწყო ჩვენის მხრივ დიდის ხნით ნაცადი შემოტევა. ბრძოლა დაიწყო ნაშუადღევს და ვითარდება ჩვენდა სასარგებლოდ, იტალიელებმა ვერც ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება ვერ მოიპოვეს. სხვა ადგილებში ცვლილება არ მომხდარა. ალბანეთში მტერს წავართვით რამოდენიმე მაღლობი.

**სტამბოლი.** 14 აგვისტო. პალესტინის ფრონტი. უსისტემო საარტილერიო ბრძოლაა გამოცოცხლებულ საჭერო შეტაკებებთან ერთად. ტაფულეში აჯანყებულთა ბანაკში ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს.

**ბერლინი.** ანკრსა და ავრის შუა დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ავრსა და უაზას შორის მტრის პატარ-პატარა შემოტევები ადვილად მოვიგერიეთ.

**პარიზი.** 14 აგვისტო. განვლილ დღე და ღამეში ჩვენი ჯარი წინ მიიწევდა მატცისა და უაზას შუა, დავიკავეთ რიბეკურტი, ბეკვალის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ გერმანელთა კონტრ-იერიშები და თან წამოვიყვანეთ ტყვეები, რომელთა შორის არის ორი ბატალიონის უფროსი.

**კიევი.** 14 აგვისტო. უკრაინის ჯარების შესადგენათ დაწყებული მობილიზაცია კარგად მიდის, გამოცხადდა 5 ათასი კაცი, განსაკუთრებით გლეხობა.

**მოსკოვი.** 14 აგვისტო. ჩრდილოეთის დვინაზე საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს ინგლისელთა სამხედრო ფლოტილია. ინგლისელებმა დიდი ზარალი ნახეს.

**სტოკჰოლმი.** ვლადივოსტოკიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ციმბირში უსურიის ნაპირებზე ბოლშევიკთა სამხედრო ძალები თანდათან იზრდება.

16 აგვისტო.

**ბერლინი.** იზერსა და სკარპას შუა მზვერავთა მუშაობაა. ანკრის ჩრდილოეთით ღამით ჩვენ დავცალეთ კუნძული, რომელიც მტრის ბანაკში მდებარეობს. ჩვენი სანგრები პუაესსა და ბომონდგამელისთან გუშინ დაიკავა მტრის ჯარებმა. საღამოთი ანკრსა და უაზის შუა საარტილერიო სროლა გაძლიერდა. მტრის იერიშები ავრის ორივე ნაპირად და ლასსინის საჩრდილოეთით მოვიგერიეთ. მდ. ვესლის საჩრდილოეთ ნაპირად იერიშის მიტანის შემდეგ ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ ბრევილლის სადგურის კომანდა.

**ვენა.** ვენეციის ფრონტზე და აგრეთვე ფონტალუზე მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. ჩრდილოეთით მომავალი იტალიის მზვერავები გავფანტეთ აქ მტერმა შესძლო მონტე-კარნოს დაკავება. ცოტა ხნის შემდეგ უკანვე დავბრუნეთ. დავბრუნეთ აგრეთვე ყველა ის მაღლობები, რომლებიც უკანასკნელ ბრძოლაში დავკარგეთ. ამ ადგილებიდან

მტერმა დაიხია საკუთარი სანგრებისკენ. ჩვენმა მფრინავებმა მტერს ტყვიები დაუშინეს ტყვიის-მფრქვეველებიდან. ალბანეთში, დევოლის ველის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია.

**სტამბოლი**. პალესტინის ფრონტი. ღამით მოვიგერიეთ მტრის ძლიერ რაზმთა იერიშები. იერუსალიმ-ნაბლუსის გზის დასავლეთით მტერმა საარტილერიო სროლა გააძლიერა. ანზთან ჩვენმა არტილერიამ ერთი აეროპლანი ჩამოაგდო.

**პარიზი**. მეტცის და უაზის მიდამოებში წინ წავიწიეთ. რიბეკურის ჩრდილო დასავლეთით საფრანგეთის ჯარებმა ფერმა და იკავეს და წამოიყვანეს ტყვეები. სხვა ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**. გაზეთი „სევერნაია კომუნას" 11 აგვისტოს ნომერში წერილია მოთავსებული ამ სათაურით—„ჩვენ მსოფლიო ომში ჩათრევას გვიპირობენ", რომელშიაც სწერენ: „ინგლისელები და ფრანგები და მათი აგენტები რუსეთში ბრესტის ხელშეკრულობის დღიდან ცდილობენ რუსეთის გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩათრევას. რუსეთმა უეჭველათ უნდა გაიმარჯვოს შიგნით, რომ თავიდან აიცილოს საგარეო ომი".

14 აგვისტოს მოსკოვის გაზეთების ცნობით ვოლგის ფრონტზე მდგომარეობა ასეთია: შუაგულ ფრონტზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო კონტრ-რევოლუციონერების ჯარებსა და საბჭოთა მთავრობის ჯარებს შორის. კონტრ-რევოლუციონერებს 80 ათასი ჯარი ჰყავთ, საბჭოთა მთავრობას—150 ათასი. ბრძოლის სასწორი ჯერ-ჯერობით საბჭოთა ჯარებისაკენ იხრება. საბჭოთა ჯარები ბრძოლით მიუახლოვდენ სიმბირსკის მიდამოებს.

მოსკოვში მოვიდენ აღმოსავლეთ ციმბირის საბჭოთა წარმომადგენლები, რომელთა სიტყვით ჩეხო-სლოვაკები მხოლოდ ბაიკალის ტბამდე მოვიდენ. ამ ტბიდან აღმოსავლეთით მთელი ციმბირი საბჭოთა მთავრობის ჯარების ხელშია.

## უკანასკნელი ცნობები

### ბაქოს მდგომარეობა.

გუშინ ბაქოს შესახებ ცნობა არ მოსულა. 9 აგვისტოს იქიდან გამოსულმა ზოგიერთი ცნობები გადმოგვცა. ინგლისის ჯარი 600—700 კაცი შემოსულა ბაქოში 3 თუ 4 აგვისტოს. ინგლისელთა ჯარს, ჩამოსულის სიტყვით, ჯერ მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში. თვით ბაქო გარშემორტყმულია ოსმალთა ჯარების მიერ ხმელეთით ყოველი მხრიდან. თავისუფალია მხოლოდ გასასვლელი თუ შემოსასვლელი გზა ზღვით. ქალაქში გამოცხადებულია საყოველთაო მობილიზაცია. ვისაც წაავლებენ ხელს, აგზავნიან ჯარში.

### გერმანელ აფიცერთა შეპყრობა.

„ბაქოს ბიულეტენში" სწერია: „კორპუსის უფროსის ყაზაროვის ბრძანებით 5 აგვისტოს თარიღით, დააპატიმრეს იმავ დღეს გემ „კურსკით" მოსული გერმანელი აფიცრები. აფიცრებმა მოსვლისათანავე იკითხეს: „სად იმყოფება ოსმალთა ჯარის შტაბიო". როცა მათ უპასუხეს, რომ აქ არავითარი შტაბი არ არის ოსმალთა ჯარისაო, გერმანელმა ოფიცერმა გაკვირვებით სთქვა: როგორ მოხდა ეს, ჩვენ გვაცნობეს, რომ ოსმალთა ჯარის შტაბი 3 აგვისტოდან არის ბაქოშიო". გემზე იყო 6 გერმანელი აფიცერი, 2 ავსტრიელი აფიცერი და 2 მოწყალების და. მათ ახლდა ცენტრალურ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც წერილი ჰქონდა საბჭოს მთავრობის მიერ გამოგზავნილი კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარის შაუმიანის სახელზე. ყველა დოკუმენტები ჩამოართვეს მათ და გადაეცა ცენტრო-კასპის და აღმასრულებელი კომიტეტის დიქტატურას. შეპყრობილი აფიცრები საგანგებო საგამომძიებლო კომისიის განკარგულებაში იმყოფებიან, რომელიც მცოდნე პირთა მონაწილეობით გაარჩევს ყველა საბუთებს და შედეგს საზოგადოებას აცნობებს".

### ოსმალთა ჯარის სარდლის წინადადება.

3 აგვისტოს ოსმალთა პარლამენტიორმა ბელაჯარაში მდგომ წითელი არმიის ერთ-ერთ ნაწილის უფროს გადასცა ორი კონვერტი—ერთი ბაქოს ჯარების მთავარი სარდლის, მეორე—სომეხთა ნაციონალური საბჭოს სახელზე. ბაქოს სომეხთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარეს. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბაქოს წინააღმდეგ მოდიან ოსმალთა ჯარები. თუ თქვენ დასთანხმდებით ქალაქის უბრძოლველად ჩაბარებაზე, იმ შემთხვევაში ყველას უფლებანი, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა უზრუნველყოფილი იქნება. განსაკუთრებით თქვენ, სომხებს, შეგეძლებათ ბაქოდან სომხეთში წასვლა თუ ამას მოისურვებთ. უკეთუ ქალაქს არ ჩაგვაბარებთ, მას ჩვენ მაინც ავიღებთ და მაშინ დაღვრილი სისხლის და ზარალის პასუხისმგებლობა თქვენზე იქნება. თუ თქვენ თანახმა ხართ ქალაქის ჩაბარებაზე, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ თქვენი დელეგატი". ამ წინადადების გამო სომეხთა რევოლუციონური პარტიის დაშნაკცუტუნის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: არავითარი მოლაპარაკება ოსმალთა ჯარების სარდალთან არ გამართოს, განაგრძოს დაწყებული ბრძოლა ბოლომდე და ეს წინადადება დასტოვოს უყურადღებოდ. ამ გვარივე განაჩენი მიიღო სომეხთა ეროვნულმა საბჭომ და ცენტრო-კასპიის და დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დიქტატურამ.

## სომეხთა ეროვნულ საბჭოში

სომეხთა ეროვნულ საბჭოში, რომელიც ერევანში გაიხსნა 3 აგვისტოს, მინისტრთა თავმჯდომარემ კაჩაზნუნიმ წაიკითხა სომეხთა პირველი მთავრობის დეკლარაცია, რომლის დასაწყისში იგი შეეხო საერთო პირობებს: ომს, რევოლუციას, რუსეთის დანაწილებას, ყოველ მხრივ ანარქიას და სხვ. ამის შემდეგ კონკრეტიულათაა ჩამოთვლილი ყველა ის რეფორმები, რომლის გატარებას აპირებს კაჩაზნუნის სამინისტრო სომეხთა ერის ცხოვრების მოსაგვარებლათ.

საშინაო პოლიტიკაში საჭიროთ მიაჩნია ელემენტარულ წესიერების დამყარება, მოქალაქეთ პირადობის და ქონების უზრუნველყოფა, მიმოსვლის გაუმჯობესება, ფოსტის მოგვარება, სასურსათო კრიზისის შემსუბუქება, გადმოხვეწილთა დახმარება და, რაც შეიძლება, მალე სომხის ერის დაქუცმაცებული კრების მოწვევა. ასეთივე სურვილია გამოთქმული ფინანსების მოსაწესრიგებლათ, ეროვნულ სასამართლოს მოსაწყობათ და ჯარის შესაქმნელათ, რომელიც, მინისტრის სიტყვით, „რიცხვით პატარა იქნება, მარა, სამაგიეროთ, სულით მდიდარი".

საგარეო პოლიტიკაში, მისი აზრით, საჭიროა ოსმალეთში შეკრული ზავის გამტკიცება, მეზობლურ ურთიერთობის დამყარება, გადახვეწილთა უკან დაბრუნება, საქართველოსთან და ადერბეიჯანთან შეთანხმებით სომხეთის საზღვრების გამიჯვნა და ბოლოს ორივ დასხელებულ სახელმწიფოებთან შეთანხმებით ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დარჩენილ ქონებათ და დაწესებულებათა განაწილება.

ამ სამოქმედო პროგრამას კაჩაზნუნი უწოდებს სახელმწიფოს შესაქმნელად მიმართულ უპირველეს და აუცილებელ ნაბიჯებს. მისის სიტყვით, აქ ბევრი მომწიფებული კითხვა არაა აღძრული, მარა ეს იმით აიხსნება, რომ სომეხთა დღევანდელ მთავრობას შეუძლებლათ მიაჩნია ცხოვრებაში გატარება. მთავრობასაო,—ამბობს იგი,—უნდა ხალხს ისეთი რამ აღუთქვას, რის განხორციელებაც შესაძლებელია, ხალხს შეცდომაში ვერ შევიყვანთ უნიადაგო დაპირებითო.

ასეთია პირველი მთავრობის სამოქმედო პროგრამა. დეკლარაციაში სხვათა შორის არ არის მოხსენებული არც აგრარული, არც მუშათა საკითხი. აღსანიშნავია ისიც, რომ დეკლარაცია ერთი სიტყვითაც კი არ ეხება სომეხთა სახალხო განათლებას, რომელიც, როგორც ვიცით, ერთიანათ სამღვდელოების ხელშია.

## ახალი ამბები

**სტამბოლის კონფერენცია**. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილმა გერმანიიდან ჩვენი დელეგატებისაგან ცნობა მიიღო, რომ სტამბოლის კონფერენცია გაიხსნება 10 დღის შემდეგ. საქართველოს დელეგაციამ შესძლო გერმანიიდან 50 მილიონი მანეთის სესხის აღება.

◆ **ბაქოდან ჩამოსულ** ამხანაგმა 15 აგვისტოს შემდეგი გვიამბო: ერთი კვირაა, რაც ბაქოდან გამოვიპარე. ბოლშევიკების მთავრობა ჩამოგდებული იყო. ოსმალთა ჯარები 3—4 ვერსის მანძილზე იყო ბაქოდან. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. სამი კვირის განმავლობაში იგერიებდენ ბაქოელები ისალებს; ყუმბარები, ტყვია წამალი საკმაოთ ქონდათ, მაგრამ მაშველი ჯარების იმედი არსაიდან იყო და ეს ძლიერ ღალავდა სულიერათ მეომარს. გამოცხადებულია მობილიზაცია: გაყავთ თითქმის 50 წლის კაცები. არ ეპყრობიან კარგათ ქართველებს. ბოლშევიკების მთავრობის დროს არც ერთი გაზეთი არ გამოდიოდა, რომ საქართველოს, წერეთლის, ჟორდანიას, გეგეჭკორის და სხვა ამხანაგების ლანძღვა გინება არ ყოფილიყო შიგ. ყოველ კრებაზე გვიმტკიცებდენ ჟორდანია-წერეთლის გამყიდაობას. ჩვენ გული გვიკვდებოდა. ქართველობა მოუთმენლათ მოელის იმ დღეს, როცა გზა გაიხსნება საქართველოში წამოსასვლელად. ყველანი ზიზღით უყურებენ ჯაფარიძეს, რომელმაც ბაქოელი ქართველობის სახელით დეპეშა გამოუგზავნა ჩხენკელს და აცნობა, რომ ბაქოში ქართველებს კარგათ ეპყრობიან და თვით ჩვენს მთავრობას უკიჟინებდა, ვითომც ის არ იცავდეს სხვის ინტერესებს. მცხოვრებნი საშინელ სიმშილს განიცდიან. გირვანქა პური 17—18 მან. ღირს. ერთი თვის ბაქოში ყოფნის შემდეგ ძლივს შევძელი გამოპარვა. 26 ამხანაგი, რომლებიც ჩვენზე წინ წამოვიდენ, განჯაში არიან დაპატიმრებულნი.

◆ **ყაზბეგიდან** მოსული ცნობით კავკავი ყაზახებმა ბრძოლით აიღეს. დამარცხებულმა ბოლშევიკებმა დაიხიეს უკან და ახლო მიდამოებიდან ყუმბარებს უშენენ ქალაქს. ყაზახებს მხარს უჭერენ ინგუშები.

— რუსთა ნაციონალურმა საბჭომ სადგურ კობიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკავში ბრძოლა სწარმოებს, მოგზაურობა შეწყვეტილია. ფურგუნები დაკავებულია კობში და ყაზბეგში. მდგომარეობა აუწერელია, არ არის სურსათი. მეფურგუნეები მოითხოვენ თფილისში წასვლას.

◆ **ბადიაურიდან** შტაბის წევრი გოგიშვილი, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს დეპეშით ატყობინებს: ჩვენს განკარგულებაშია 2 ათასი შეიარაღებული კაცი. დამხმარე ჯარის გამოგზავნა ჯერ საჭირო არ არის. როგორც შეტევაზე გადავედით, მუსულმანებთა ბრბო გაიფანტა. ჯავშნიან მატარებლის უფროსის გოგაძის შემწეობით მუსულმანებთან უთანხმოება არ არის. ჩვენგან წარდგენილი ულტიმატუმი მიიღეს მუსულმანთა დელეგატებმა და დაგვპირდენ 15 აგვისტოსთვის დილის 3 საათზე წარმოადგინონ იარაღი. ვიმედოვნებთ, რომ საქმეს სისხლის დაუღვრელათ მოვაგვარებთ.

◆ **დატუსაღებული ბოლშევიკები**. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში თფილისში ყოველ დღე ჩამოყავთ ყაზბეგიდან დატუსაღებული ბოლშევიკები.

◆ **მთავრობაში**. ფინანსთა მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას თფილისში სპირტის რეკვიზიციის მოხდენის შესახებ.

◆ **ციხის ინსპექტორმა** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ციხის სტამბების რეკვიზიციის მოხდენის შესახებ.

◆ **ფინანსთა მინისტრმა** მოხსენება წარუდგინა მთავრობას მოცვის ჩაიზე აქციზის დაწესების შესახებ. გირვანქა მოცვის ჩაიზე 1 მან. 60 კაპ. გადასახადი დაწესდება. უაქციზო ჩაის კონფისკაციას გაუკეთებენ. ჩაის პატრონს ორმაგი აქციზი გადახდება.

◆ **მიწათმოქმედების მინისტრმა** მოხსენება წარუდგინა მთავრობას ცენტრალურ სახელმწიფო სტატისტიკურ ბიუროს ღირსებებისა და ბიუროს მოქმედების შესახებ.

◆ **თავის ჩამოხრჩობა**. 14 აგვისტოს საღამოს 10 საათზე, განოვის ქუჩა № 4, თავი ჩამოიხრჩო მ. როზენშტეიგერმა.

◆ **ხოლერა**. უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავათმყოფი. მორჩა 9. მოკვდა 2 ხოლერიანი ავათმყოფი. 14 აგვისტოს საავათმყოფოში იყო 91 ხოლერიანი და 16 საეჭვო ავათმყოფი.

◆ **ტყიბულის მაღაროები**. 11 აგვისტოს ტყიბულის მაღაროების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მუშები მოითხოვენ: ჯამაგირის 50% გადიდებას, ფულის თავისი დროზე დარიგებას, სურსათის მიცემას და სამუშაო მასალის თავის დროზე მიწოდებას. ასეთ პირობებში მოვალედ ხდიან თავიანთ თავს დაამზადონ დღეში არა 17, არამედ 35 ათასი ფუთი ნახშირი. მაღაროების გამგე ინჟინერი აბაშიძე გამოიწვია გზათა მინისტრმა.

◆ **კანონ პროექტი**. ეროვნულ საბჭოში შეტანილ იქმნა კანონ პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ბუნების მოვლენათა შესასწავლად და ამ მოვლენათა ხალხის ჯანმრთელობისათვის გამოსაყენებელ ინსტიტუტის დაარსებისა. კანონ პროექტის ძალით უნდა დაარსდეს ორივე სქესისათვის ჯანმრთელობის ინსტიტუტი, რომლის მიზანი იქნება ხალხის გაჯანსაღება და ბუნების მოვლენათა შესწავლა.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრმა** განკარგულება მოახდინა, რომ გუბ. კომისრებმა წინადადება მისცენ სამაზრო ადმინისტრაციას ყოველ თვეში მოახდინონ კრება რაიონების წარმომადგენლებისა რაიონის კომისრებისაგან, საერთო წეს-რიგის დამყარებაზე სათათბიროდ.

◆ **თავდასხმა**. 14 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ს. ალექსანდროვიჩის ბინიდან ახალციხის შესახვევში № 15, მილიციის სახელით ფულით და სხვადასხვა ნივთებით წაიღეს 40 ათას მანეთამდე.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრმა** ბრძანება გასცა სახელმწიფო დაწესებულების შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა ერთდროული დახმარების შესახებ. ბრძანება ვრცელდება იმ მოსამსახურეებზედაც, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ სახელმწიფო დაწესებულებებიდან ლიკვიდაციის გამო. ამ კანონის გამოცემამდე, მაგრამ 1918 წლის 15 ივნისამდე ანგარიში არ მიუღიათ.

◆ **სენაკის მაზრიდან** ჩამოვიდა წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს მთავრობას მოელაპარაკოს სამეგრელოში სურსათის გაგზავნის შესახებ. როგორც გადმოგვცემს ჩამოსული, სენაკის მაზრის ზოგიერთ ნაწილებში შიმშილი მეტის მეტად ფართო ხასიათს იღებსო.

◆ **ბაქოში დახოცილები**. ქ. ყუბაში (ბაქოს გუბერნია) მომხდარ ამბების დროს მოუკლავთ უმაღ. 3. დაწყ. სასწავლებლის ინსპექტორი ციციშვილი, ეგნატაშვილი თავისი შვილით და კიდევ 5 თუ 6 ქართველი.

— 2 ივლისს (ახ. სტილით) ბაქოში მოუკლავთ ბაქოს მფრინავი რაზმის ჯარისკაცები—ხორავა, შელია და გალდავა.

◆ **უკრაინის სტუდენტთა საყურადღებოთ**. უკრაინაში მოსწავლე სტუდენტებს ქალებს და კაცებს ვთხოვთ, მობრძანდეთ შაბათს 17 მარიამობისთვეს საღამოს 7 საათზე, ძველი სემინარიის შენობაში ლორის მელიქოვის ქუჩა № 1. ფრიად საყურადღებო საქმისათვის. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

◆ **განთავისუფლება**. 15 აგვისტოს საღამოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაანთავისუფლეს ს. სირინი და ზერცალოვი.

◆ **დატუსაღება**. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა კადეტთა პარტიის თფილისის კომიტეტის წევრი კუზკე.

◆ **გაზეთის დახურვა**. მთავრობის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ვოზრაჟდენიე"; სტამბა დაბეჭდეს.

◆ **საშუალო სკოლების** მასწავლებელთა კურსების მსმენელები სთხოვენ თფილისის ყველა ტიპის საშუალო სასწავლებლების ქართველ გამგეებს და მასწავლებელთ დაესწრონ აუცილებლად საერთო კრებას კვირას 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე, კადეტთა კორპუსის შენობაში (გოლოვ. პროსპ.) გასარჩევია საკითხი საშუალო სკოლებში ნაციონალიზაციის გატარების შესახებ.

◆ **ს. კოლაგიდან** (სიღნაღის მაზრა) სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ რაიონის კომისარ ივანოვმა „ეგზეკუციის" ჩაუყენა გლეხებს და მთავრობის სახელით თავის სასარგებლოთ გადაახდევინა 2 ათასი მანეთი, გლეხებს სასტიკად მოეპყრობიან. გლეხები ითხოვენ დახმარებას.

◆ **საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის** კურსებზე დაიწყება ცხრამეტ აგვისტოს მეცადინეობა სპეციალურ დარგებში. ხსენებულ კურსებზე, ახლად ჩამოსულნი სამშობლოდან ამ თვის 10-დან, არავითარ შემთხვევაში აღარ იქმნებიან მიღებული, თუნდაც მათ განათლების სამინისტროსაგან ან კურსების ხელმძღვანელი კომისიისაგან მინიჭებული ჰქონდეთ ამის უფლება.

◆ **ღამით მორიგე ექიმთა** ბინა მოთავსებულია გრიბოედოვის ქუჩაზე № 3 ტელეფონი № 13 09.

◆ ქალაქის აბანოების კავშირი აცხადებს, რომ აბანოებში ფუთას აღარა იძლევან.

## პროვინციის ქრონიკა

**გორი**. კვირას, 18 აგვისტოს, შესდგება გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. განსახილველია საკითხები: წლიური ანგარიში, მომავალი მოქმედების გეგმა, ახალი გამგეობის არჩევა, კომერციული განყოფილების ანგარიში და სხვა. კრებაზე ის კრება მეორეთ ინიშნება, იგი კანონიერი იქნება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი.

**ოზურგეთის** სამაზრო საერობო საარჩევნო კომიტეტი აცხადებს, რომ ოზურგეთის მაზრის ყველა საარჩევნო ოლქებში სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია კვირას, 18 აგვისტოს.

## საუბარი გენ. მაზნიაშვილთან

გენ. მაზნიაშვილმა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომელს შემდეგი ამბები გადასცა:

„ჯარის სულიერი განწყობილება კარგია. სისწორით და შეგნებით სრულდება უფროსების განკარგულება და ბრძანებანი. თანდათან მკვიდრდება დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სამხედრო დისციპლინა და წეს-რიგი. ჩვენი რეგულიარული ჯარის მოძრაობის უმთავრესი მიზანი ანარქიასთან ბრძოლაა. ჩემი ჯარი შავი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებს ტუაპსე-არმავირის ხაზით; სამურზაყანოს მხარეზე კი განსაკუთრებით სახალხო გვარდიის რაზმები მოქმედებენ.

სოხუმში მოწყობილია დეპო, სადაც იწვრთნებიან ჯარში ახლად გაწვეულები, რომლებიც ძალიან ხალისით მეცადინეობენ და მომზადების შემდეგ საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილებისკენ იგზავნებიან.

როდესაც სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაიწმინდა, შედარებითი წეს-რიგი დამყარდა. გუდაუთიდან მოვიდა ცნობა, რომ იქ ბრძოლის წაგებით გაბრაზებულმა ბოლშევიკებმა 11 კაცი მხეცურად დაწამებით მოჰკლეს. ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნითა და დახმარებით ჩვენი ჯარები გუდაუთისკენ საშველათ წავიდა, სადაც გუმისტის ხიდამდის გავწმინდეთ გზა და რადგან ბოლშევიკები არ ისვენებდენ იძულებულნი გავხდით წინსვლა გაგვეახლებინა და ისევ მცხოვრებთა დახმარებით ერთი თვის განმავლობაში ადლერის იქით მზიმდამდე ჩავედით და იქ გავმაგრდით.

მაშინ ბოლშევიკებმა სოჭის რაიონში დაიწყეს მოქმედება და მცხოვრებთა რბევა. მეგრელებისა და ადგილობრივ რუს მცხოვრებთა თხოვნით მივეშველეთ სოჭას და ბოლშევიკებს უკან დავახევინეთ, მაგრამ რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ბოლშევიკები კვლავ არ მოისვენებდენ, სტრატეგიულის მოსაზრებით, გაწმენდილ ადგილებს რომ ხელმეორედ არ შემოსეოდენ და იქაურობა არ აემტვრიებინათ რაზმის ნაწილი დავტოვე სოჭაში და თუაპსემდი გავრეკე მათი ბრბოები. თვით ქალაქში ჯარით არ შევსულვართ და ქალაქ გარეთ დავბანაკდით. განსაკუთრებით რუს მცხოვრებთა დასამშვიდებლათ პროკლამაციები გამოვუშვი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარი არავითარ სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა მცხოვრებთა დარბევისაგან დაცვისა და წესრიგის აღდგენისა. ჩვენ ვიცავთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს. ჩვენი ჯარების მიერ განვლილ მთელი ამ მხრის კუთხეების მცხოვრებნი მადლობით იხსენიებენ ჩვენს ჯარს და დიდის ალტაცებით ეგებებიან და ყოველნაირად ხელს უწყობენ. ადგილობრივ თვითმმართველობისა და ადმინისტრატიულ გამგებლობაში არ ჩავრეულვართ და ვამცნეთ ყველას, რომ ჩვენ დავრჩებით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი სრული მშვიდობიანი ცხოვრება და დემოკრატიული წეს-წყობილება, რომელიც ბოლშევიკურ ბრბოების შემოსევამდე იყო თუაპსეთი გათავდა და პირველი ხანა ჩვენი ჯარების მოქმედებისა. ამასობაში გლუხორის რაიონში ფსხუს წყალზე გამოჩნდენ ყაზახთა ნაწილები 800 კაცამდე თითო რაზმში. წინდაწინ ჩვენთან დელეგატები გამოგზავნეს იხოვნით, რომ ნება დაგვერთო, გაევლოთ ჩვენს ტერიტორიაზე თუაფსით მაიკოპსა და ლაბინის სტანიცებში, სადაც ბოლშევიკებმა ხოცვა-ჟლეტა და რბევა დაიწყეს, რომ მივეშველოთ და რაც, ბოლშევიკებს გადურჩათ, ის მაინც შევინარჩუნოთ ჩვენს მხარესო. შევეკითხე ჩვენს მთავრობას და პასუხის შემდეგ ნება დავრთე ყაზახებს, რომელნიც თითქმის მთელ დივიზიამდე შეგროვდა, გაევლოთ ჩვენს მიწა წყალზე მათ დივიზიაში ჰყავთ, როგორც ქვეითი, აგრეთვე ცხენოსანი და საარტილერიო რაზმები. ამ ხანად ჩვენი და ძათი რაზმები ბელორეჩენსკაიასთან იმყოფებიან, რომ მაიკოპისაკენ გარს შემოუარონ თავის სტანიცებს და გარეკონ ბოლშევიკები. ჩვენ ჯერ ხანად წინ არ ვიწევთ, თუ შევამჩნიეთ, რომ ჩვენს ბუნებრივ საზღვრებს საფრთხე მოუახლოვდა და ბოლშევიკების ბრბოთა შემოსევით, მაშინ მხოლოდ სტრატეგიულის და თავდაცვის მოსაზრებით წავიწევთ წინ, რომ ხელახლად არ აამღვრიონ ახლად დამყარებული სიმშვიდე და გავმაგრდებით მანამდე, სანამ ბოლშევიკური მოძრაობის ტალღა სრულიად არ მოშორდება ჩვენს მხარეს და მერე კი ჩვენ ბუნებრივ საზღვრებისაკენ დავიწევთ და გავმაგრდებით, რომელსაც არავის და არაფრისათვის არ გადმოვალახვინებთო. ასე დაამთავრა გმირმა „პატარამ", როგორც მას იძახიან ჯარში და ხალხში, გენერალმა მაზნიაშვილმა თავის ჯარის მოქმედების ამბავი. ვუსურვებთ მხნესა და ენერგიულ მოქმედებას ჩვენი ახლად აღდგენილ, ჯერ ისევ ნორჩ რესპუბლიკანურ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

## ქუთაისის გუბერნიაში

### ხრესილი. (დეპეშა).

ჩვენმა რაზმის ნაწილმა ბრძოლით დაიკავა ნაქერალას უღელტეხილი. მოწინააღმდეგე სასტიკათ დაამარცხეს. ჩვენის მხრით ზარალი არ არის. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 კაცი. მტერს დაატოვებია ჩვენმა ჯარმა ერთი ზარბაზანი და 6 ყუმბარა. ჯარისკაცები ისე იბრძვიან, როგორც ლომები. უღელტეხილს ჯარი ამაგრებს. დაზვერის დროს ცაგერამდე მიდიან. ჩვენი არტილერია მოქმედებს ს. ორხვას, კორემიშის და ჭყვიშის წინააღმდეგ.

### დელეგაცია სამეგრელოდან.

გუშინ გუბერნიის კომისარ ჩხიკვიშვილს წარუდგა დელეგაცია სამეგრელოდან, სთხოვა ჯარებს ნუ შემოუშვებთ ჩვენს კუთხეში და საქმე მორიგებით მოვაგვაროთო. გუბერნიის კომისარმა შემდეგი უპასუხა: მე ბოლშევიკურ ბანდებთან არა ერთხელ ვშინჯე საქმის შინაურულათ უსისხლოთ მოგვარება, რის გამო ბოლო დროს მთავრობიდან საყვედურიც კი დავიმსახურე, მაგრამ ეს მათ არ ინებეს. ეხლა მოლაპარაკების დრო გათავდა და დარჩა გადასვლის ყოველივესი და სხვ. სამეგრელოში ბოლშევიკურ ბანდების გამოსვლების ლიკვიდაციის მოსახდენათ გაიგზავნა პოლკოვნიკი სრესელი, გაიგზავნება გედევანიშვილის რაზმი.

### ხრესილი (დეპეშა).

ჩემმა რაზმმა დაიკავა ქვაკუნტა და მთაშავას უღელტეხილი და უღელტეხილის წინ მთა მერსის სიმაღლისა. უღელტეხილის დაკავებისას ხელთ ჩაგვივარდა 6 ტყვე, რომელთა შორის არის ძმათა ახვლედიანების მკვლელი და ბოლშევიკების შტაბის უფროსი საბუთებით. ხელთ ჩაგვივარდა ერთი პულემიოტი კოლტის სისტემის. ს. ზარიდან, ალპანიდან და ზოგიშიდან მოვიდენ დელეგატები, რომელთაც წაუყენეთ შემდეგი ულტიმატუმი: ჩაგვაბარონ იარაღი და ამბოხების მეთაურები, როგორც ისინი დათანხმდენ მოწინავე ნაწილმა დაიკავა ს. ზოგიში და ალპანაგელის მოსაცემ საწინააღმდეგო რიონზე გადასასვლელი ხიდები. პოლკოვნიკი ზაქარიაძე.

### ჰაეროპლანი ზუგდიდის მაზრაში.

12 აგვისტოს ზუგდიდისაკენ გაფრინდა ჰაეროპლანი. მათ ყუმბარები ჩაჰყარეს ს. აბასთუმანში და სხვალებში, საიდანაც ბოლშევიკები ... ყრილი, ... გამოუშვეს.

... ბრბოები თავს დაესხა სოფ. სხ... და გლეხებს იარაღს ჰყრის. ჩვენები ცვალოვის მეთაურობით წავიდა წინააღმდეგ. („ს.-დ.").

## მუშათა წერილები

### ლტოლვილები

ჩვენ ნორჩ დემოკრატიულ რესპუ... კას მეტად ცუდ პირობებში უხდება შაობა. სხვა მრავალ მუშაობასთან თად, მას საზრუნავი შეექმნა ლტოლვილნი, რომელნიც გადმოხვეწილნი ან მტრის მიერ დაკავებულ ადგილებიდან. ქალაქები, დაბები და სოფ... სავსეა ლტოლვილებით. ესენი ... სომხობა და ქართველობა. მათი ... ნაწილი, ქუჩაში ყრია. არა აქვთ სასმელ-საჭმელი და ტანთსაცმელი. მთავრობა, რომელიც თავის მუშაო... გამოხატავს დემოკრატიის ნება-სურ... ლებს, შეძლებისდაგვარათ დახმარ... უწევს ლტოლვილებს, მაგრამ ... სახელმწიფოს ორგანიზმი მეტად ... ჩი და სუსტია და ამიტომაც ... სი დახმარება არ არის მათთვის ... მაკმაყოფილებელი. ქართველი დე... რატია მუდამ ინტერნაციონალის ... საზრისზე იდგა და ყველგან და ყო... თვის გაჭირვებულ თანამოძმეს შე... ბისდაგვარათ დახმარებას უწევდა. მარისია მოვიგონოთ აჭარლების წარ... ლი, როდესაც ჯარი მათ განადგურებ... ემუქრებოდა და ბევრი მათგანი გად... იხვეწნენ ჩვენში, მათ ჩვენი დემოკრა... ორნაირი დახმარებას უწევდა, როგორ... მატერიალურს, ისე მორალურს. მახს... მაშინდელი დღეები, ჩვენ ქუთაისის მ... ბი, რომლებიც შემოკრებილი ვიყა... არალეგალურ ს.-დემოკრატ. ორგანი... ციის გარშემო, ჩვენს ამხანაგებში ... ლეგალურად ფულებს ვკრეფდით ... ვუგზავნიდით საქველმოქმედო საზო... დოებას აჭარლების დასახმარებლად. ... თი ნაბიჯები ქართველ დემოკრატ... მრავალჯერ გადაუდგამს, როდესაც საჭირო ყოფილა. დღეს ასეთ ნაბიჯ... ნაკლებათ ვხედავთ. შეიძლება ამას ... დეს თავისი გასამართლებელი საბუთე... მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ამას მივ... ციოთ ამხანაგ მუშების ყურადღება. ... წინათ ჩვენ ვახერხებდით ჩუმათ შეგვ... რიბა გროშები და დავხმარებოდით ჩვ... გაჭირვებულ თანამოძმეებს, მით უმე... ეს შესაძლებელი არის დღეს, როდეს... ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი ორგანი... ციები და მის გარშემო შემოკრები... არის ყველა ჩვენი ამხანაგები. ამ მხრ... გადადგმული ნაბიჯები დიდ დახმარებ... გაუწევს ჩვენს მთავრობასაც, სადაც ჩვ... ნი იდეიური ხელმძღვანელი მასწავლე... ლები გავგზავნეთ სამუშაოდ. დახმარე... სჭირდება ყველა ლტოლვილს, განურ... ჩევლათ ეროვნებისა. ამიტომ ჩვენი ქვე... ნის მუშათა პროფესიონალურმა კავში... რებმა ამ მხრივ უნდა გადადგან სასწრა... ფო ნაბიჯები. როგორც ვიცით, მუშათ... პროფესიონალურ კავშირებს ყავს თავი... სი ცენტრი თფილისში. საერთო ხელ... მძღვანელობა უნდა უეჭველათ მიიღო... ამ ცენტრმა და აამუშაოს ყველა მუშა... თა კავშირები. ამას გარდა, ჩვენში არ... სებობენ გლეხთა საბჭოები, ამ ორგანი... ზაციებმაც უნდა მიიღონ თავიანთ თავზე, რომ დახმარება გაუწიონ მოძმეებს, რომელთაც ბედმა არგუნა სახლკარის მიტოვება მტრის შემოსევის გამო და ქუჩაში ყრია ღვთის ანაბარათ. ჯავახეთ... მესხეთი ჩვენი ქვეყნის კულტურის აკ... ნათ ითვლება. ეს ხალხი დღეს ბაკურია... ნის ხეობაში უპატრონოთ ყრია. მათ მიუტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი, პური დათესილი ყანები და რომ სიკვდილს გადარჩენოდენ, რომელიც ელოდა შემოსეულ მტრიდან, გამოქცეულან და დღეს ჩვენგან თხოულობენ დახმარებას. დღეს ეს ხალხი ბაკურიანის ტყეში ცხოვრობს. ბევრი მათგანი ამ წუთისოფელს გამოესალმა შიმშილის გამო. ამ ცოტა ხნის შემდეგ ამ ტყეებშიაც აციებდა და ყველა ჩვენგანმა უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდება ეს ხალხი. ყველა მოქალაქის მოვალეობაა თავისი ლუკმა შუაზე გაუყოს ჩვენს მშიერ მოძმეებს. ყველა ჩვენგანმა უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ასეთ მდგომარეობაში და მაშინ უფრო შეგვეტკივა გული დახმარებისათვის.

ი. სადემეტროველი.

## რევოლიუციონური ტრიბუნალი

### ნ. ჩულუკიძის საქმე.

14 აგვისტო.

14 აგვისტოს დაიწყო რევოლიუციონურ ტრიბუნალში ნ. ჩულუკიძის გასამართლება ვლადიმერ პავლეს ძე გოგიჩიას მოკვლის გამო. დიდი ხანია ჩვენი საზოგადოება ამ საქმის გარჩევას მოუთმენლად მოელის.

პროცესს დიდი ძალი ხალხი ესწრება. შემოყავთ მცველებს ბრალდებული ჩულუკიძე, მთელი ხალხი მას ჩასჩერებია,

[library stamp]

მის სახეზე ამოიკითხოს ამ ბრალდების გავლენა, მაგრამ ...ლდებული მშვიდათ გამოიყურება, თითქოს არაფერი მომხდარა. ...შემოდიან რევოლიუციონური ტრიბუნალის წევრები. საზოგადო ბრალმდებელი და დამცველები მოითხოვენ ...ის გადადებას, რადგანაც მოწმე პავლიაშვილი არ დაესწრო. აღნიშნავენ, ...ა პავლიაშვილი კარგათ არის გაცნობილი ბრალდებულის სულიერ მდგომარეობას დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ...სამართლები თათბირობენ ამის შესახებ. დაადგინეს შეუდგენ საქმის გარჩევას. მოწვეულია ექსპერტებიც. დამცველები ცდილობენ, რომ ბრალდებული ...ქოლოგიურად არა ნორმალურ ჭკუის ...რონათ გამოიყვანონ. ამიტომ მოწმეებს ეკითხებიან მის წარსულ ცხოვრებაზე, უკანასკნელ ხანებში მის სულიერ ...ყოფილებაზე და სხ. სამოქალაქო ...მჩივანი სუსტია. ყურადღებას იქცევს ...თ წულუკიძე. დამცველებზე უკეთ ...ვს თავს.

ტრიბუნალის თავმჯდომარე კითხულობს საბრალმდებლო ოქმს, რომელშიაც ნათქვამია: 18 ივნისს 6. წულუკიძე სამჯერ რევოლვერის გასროლით ...ლა ვლადიმერ პ. გობეჩია, რომელიც ...სთან ერთად ბრუნდებოდა სამსახურიდან. წინასწარ გამოძიებით მკვლელობა მოხდა ოთახის რეკვიზიციის გამო. აბაკელიას და ძმებ გობეჩიებს გაუ... რა თავისუფლდება ოთახები ნ. ...ლუკიძის ბინაზე, განუცხადებიათ ქალაქის გამგეობაში, რომ უკანასკნელებს ...ცემოდა თავისუფალი ოთახები. შემდეგ ...მხდარა წულუკიძის მეუღლესთან შეხვედრა და 200 მ. გარიგებიან. ...აკელიას (გობეჩიას ამხანაგია) რეკვიზიციის ქაღალდი დაუხევია. ამ ნიადაგზე ...მოცენებულა უკმაყოფილება და მომხდარა მკვლელობა.

შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს მართალია თუ არა, რომ ის ...სამართლოში იყო მიცემული ნინა წულუკიძის გაუპატიურების განძრახვისთვის, ...რთალია თუ არა, რომ მას პავლე ...მიას მოკვლისთვის კატორღა ქონდა ...სჯილი, მართალია თუ არა, რომ ის ...მართალში იყო მიცემული ბოქაულ ...ტაშვილის მოკვლის განზრახვისათვის. ...ბრალდებული ადასტურებს.

თავმჯდომარე: თქვენ ხომ მოისმინეთ ...ბრალმდებლო ოქმი?

ბრალდებული. მოვისმინე. მე მინდა ...ოტა განმარტება მოგცეთ. მე 4 წელიწადია, რაც იმ ბინაზე ვარ. ბევრმა ...ხოვა ოთახები, მაგრამ არავის არ ...ვუთმე, რადგანაც მე ნერვებ აშლილი ...რ სხვასთან ცხოვრებას ვერ ვითმენ. ...0 წელია, რაც უძილობით ვიტანჯები. ...ობეჩიებმა და აბაკელიამ რო ჩემი ოთახი აიღეს, მის მერე 18 დღე და ღამე ...მიძინია, ხმაურობა ხელს მიშლიდა. ...ო ვსთხოვე ოთახი გაეთავისუფლებინათ, მაგრამ არ გადავიდნენ. შემდეგ იძულებული ვიყავი სასტუმრო „უნივერსალში“ გადავსულიყავ. იქ ნაცნობები ვნახე, ...რგათ შევთვერი და რო წამოვედი ავტომობილით გზაზე ორივე ძმა გობეჩიები შემხვდა. ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, ...სროლე, სროლის ხმამ გამომაფხიზლა, ...ისთვის და რათ მოვკალი ვლადიმერი ...რ ვიცი. მით უმეტესს მას ჩემთვის ...რაფერი დაუშავებია. მე თავის გამართლება არ მინდოდა, მაგრამ როცა ამ მკვლელობას პოლიტიკური ხასიათით ...ნიდენ ზოგიერთები და მე კონტრრევოლიუციონერს მიწოდებდნენ, მე არ ...მეძლო ამის უყურადღებოთ დატოვება.

იწყება მოწმეების დაკითხვა.

ი. გობეჩია. მე და გობეჩიები ერთად ...ხოვრობდით. ვეძებდით ოთახს, მაგრამ ვერ ვიშოვეთ. ერთ დღეს მარიამ ...ობეჩია (მოკლულის და) მოგვიტანა ამბავი, რომ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ...თახები თავისუფლდებაო. ნივთები გაატანილი ჰქონდათო. მე და ი. აბაკელია მაშინვე წავედით და სხვას რომ არ დაეჭირავებია ის ოთახები, განუცხადეთ ქალაქის გამგეობის ბინის განყოფილებას. ...კანასკნელმა მოგვცა ქაღალდი და შემდეგ მივედით წულუკიძის სახლში. მის ...ეუღლეს შევუთანხმდით და ორას მანეთზე გავურიგდით. შემდეგ წულუკიძე ...მოვიდა ხონიდან და წინადადება მოგვცა ოთახი გაგვეთავისუფლებია. ჩვენ ...პირობდით გადასვლას, მაგრამ ვერ ...შოვეთ იმ ხანებში ოთახი. მე წინად ...ულუკიძეს არ ვიცნობდი. იმ წყეული ...ემთხვევის წინა დღეს მე და ჩემი ძმა ...ლადიმერი ერთად ვიდექით გოლოვინის პროსპექტზე და სხვა ამხანაგებთან ...ერთად ვლაპარაკობდით პოლიტიკურ ...კითხებზე, იქ მოვიდა ვიღაც ჩერქეზიანი კაცი (ბოლოს გავიგე, რომ ეს ...წულუკიძე ყოფილიყო) და დაიწყო ლაპარაკი თავის მოღვაწეობაზე. 18 ივნისს ...ღამოს ხუთ საათზე მე და ჩემი ძმა ...რთად მივდიოდით დედის სანახავად ...ში 6. (აქ ის აღელდა და ლაპარაკი ...ერ შესძლო. სკამი მოუტანეს და ერთხანს იჯდა, შემდეგ ისევ განაგრძო). რომ ...ვუახლოვდით სახლს, ავტომობილიდან ...დმოხტა ბრალდებული და სირბილით ...მოვიდა ჩვენსკენ. ჩვენ უცბათ ვკითხეთ: რაშია საქმე? Вы революціонеры...

და სამჯერ გაისროლა. მე ვერ გამოვერკვი, თუ რაში იყო საქმე. როცა დავინახე, რომ ვლადიმერმა მუცელზე მოიკიდა ხელი და უკან-უკან წავიდა, მაშინ მივხვდი, თუ რა უბედურება დატრიალდა და გავსწიე მეეტლესთან, რომ რამე მეშველა დაჭრილისათვის.

შემდეგ დაკითხეს აბაკელიას.

თ. აბაკელია ამბობს, თუ რა პირობებში იქირავეს ოთახი. შემდეგ აღნიშნავს, რომ ბრალდებულმა გამოუგზავნა მათ ა. არაბიძე ოთახის დაცლის შესახებ. არაბიძემ გადმომცა, რომ სჯობს აქედან გადახვიდეთ, თორემ წულუკიძე ყველაფერს მოიმოქმედებსო. შემდეგ მოწმე თავმჯდომარის წინადადებით ახასიათებს ვლ. გობეჩიას და სხვათა შორის ამბობს: მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი მე არ ვიცი, თუ იყო ისეთი ვინმე, რომელიც მისგან უკმაყოფილოდ ყოფილიყოს. მოწმე აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ წულუკიძის ნათესავები და ნაცნობები იმუქრებიან მას, ის კითხულობს მამისაგან გამოგზავნილ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ აბაკელია გვიშლის ხელს, თორემ ნ. წულუკიძეს აწი გავანთავისუფლებდითო. დატიოს იქ, თორემ მასაც გაუსწორდებითო.

მოწმე მინადორა გვაზავა ამბობს: მე 18 ივნისს გავიგონე, თუ როგორ ემუქრებოდა წულუკიძე გობეჩიებს და აბაკელიას. ოთხჯერ გაიმეორა: ჩემი დედა ჩემი ცოლი იყოს, თუ სამივე არ მოვკალი, რადგანაც მე ასე შემაწუხესო. მე გავიქეცი მაშინათვე საზღვაო სამინისტროში, მინდოდა შემეტყობინებია ვლადიმერი და იოსებისათვის, მაგრამ გზაზე ავცდით ერთმანეთს და ეს უბედურება დატრიალდა.

მოწმე ა. არაბიძე ადასტურებს აბაკელიას ნათქვამს. საყურადღებო ჩვენებას იძლევა ბრალმდებლის ამხანაგი მოძალევსკი: მე დანაშაულის ჩადენის 1 საათნახევრის შემდეგ დავკითხე ბრალდებულს. ის წყნარათ და მშვიდათ იძლეოდა პასუხს. სიმთვრალე არ ეტყობოდა. პირველათ თავი დამნაშავეთ იცნო, მაგრამ შემდეგ დიდათ შეეცადა თავის გამართლებას. მიზეზათ ბინის რეკვიზიცია დაასახელა. ბევრი ვიარე სხვადასხვა უწყებებში, მაგრამ, რადგანაც ვლდ. გობეჩია მინისტრი იყო, მე არსად არაფერი გამივიდაო. დაკითხვის დროს გამოირკვა, ბრალდებული მთავრობით უკმაყოფილო იყო, ის გააბრაზა ამ გარემოებამ და მკვლელობა ჩაიდინა. ჩემის აზრით, მკვლელობა ბრალდებულს ჩადენილი აქვს წინასწარ მოფიქრებით, განზრახვით. ამას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო სიმთვრალემაც. დაკითხეს სხვა მოწმეებსაც.

ან-ხანი.

(გაგრძელება იქნება)

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 15 აგვისტოს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა რა გასული კრების ოქმი, გადავიდა მორიგ კითხვებზე. კომიტ. წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ახლო მომავალში განზრახულია მოიწვიონ ადგილობრივი პარტიული კონფერენცია, სადაც გარჩეულ იქნება ამ ჟამად პარტიის წინაშე წამოყენებული ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. მოხსენებიდანვე გამოირკვა, რომ ბაქოს პარტიულ ამხანაგების თხოვნა გაიგზავნოს იქ მოწინავე ამხანაგები პარტიული მუშაობის და ორგანიზაციების აღსადგენათ, ვერ არის ჯერ ჯერობით დაკმაყოფილებული. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ადგილობრივ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობა თანდათან კარგათ მიდის, ხოლო, რომ ყველა ამხ. პარტიის წევრები საკმაოდ გაერკვენ მიწის რეფორმებისა და ერობის შესახებ საკითხებს, კრება ადგენს: ახლო მომავალში მოწვეულ იქნას პირველი და მეორე რაიონის შეერთებული საზოგადო კრება, სადაც მოწინავე ამხანაგები შესძლებენ გაჰფანტონ ის პროვოკაციული ხმები, რომლებიც ზემო აღნიშნულ კითხვების გარშემო ტრიალებს და გაურკვევენ პარტიულ ამხანაგებს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხების ყოველივე მხარეს.

თფილისის ტრამვ. ცენტრალურ მამოძრავებელ სადგურის ამხანაგების განცხადება, რომ 18 ივლისს მომხდარ გაფიცვის შესახებ დანიშნულ პარტიულ სასამართლოს წევრათ არჩეულია ამხ. ფარნიევიო, კრებამ მიიღო მხედველობაში და კოლექტ. მხრივ ამავე სასამართლოს წევრად დანიშნა ამხ. ასათიანი. კრება ადგენს: ვინაიდან კოლექტივის სამი თვის ანგარიში შედგენილია, ერთხელ კიდევ მიეცეს წინადადება სარევიზიო კომისიის წევრებს დაუყონებლივ გადაათვალიერონ ანგარიშები და თავიანთი შეხედულება წარმოუდგინონ კოლექტივს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## მუშათა შორის

ცენტრალური მომრიგებელი კამერა.

13 აგვისტოს შესდგა ცენტრალურ მომრიგებელ კამერის პლენარული სხდო-

## კახეთში

ალაზნის პირს გავყევი სევდის გასაქრობათა,
ჩემი სულის ვარამის საუბარ სათხრობათა.
მის დუდუნს შევუერთე ჩემი გულის ფართქალი
და კახეთის მიდამოს მიმოვავლე მსწრაფლ თვალი.
აქ ბუნების სიუხვეს კალთა დაუბერტყია,
მთათ გრეხილი ქოჩორა ყოველ მხრივ შემორტყმია;
მიწის გული რუ-წყაროთ წამლათ აღმოხეთქილა,
ხან სიცხე შუბლს აოფლებს, და ხან სიო ჰქრის გრილა.
ყანა გაყვითლებული თავთავს დაჰხრის, შრიალებს.
და ფოთოლი ობოლი ქარისგან ზე ფრიალებს...
შორიით სიმღერა ისმის: ჰოპუნაა, ნადური,
ყველა შრომას ეწევა, არ არის უმადური.
დინჯ კახელის სახეზე ღიმილი ალბეჭდილა,
მისთვის რა არის ღამე, მისთვის რა არის დილა,
— თუ შრომაა საჭირო, აჰა ძალი და ღონე!
— არ იფიქრო, რომ შრომით მაწამე, დამაღონე.—
ასე ამბობს კახელი და მაგრათ გრძნობს თოხს მიწა,
მით კეკლუცობს ბუნება და ბრჭყვიალობს ზევით ცა...
ჰო, კახელი ქალები შრომა შენაყვარები
მამაკაცთ გვერდს უდგანან—მტერს დაუდგეს თვალები!—
და საერთო ჭაპანით, ოფლის ღვრა ცრემლის დენით,
უკეთესი ცხოვრება ახლოვდება სიმღერით.

———

აგერ ბუჩქნარს, თაიგულს ბულბული დაჰფლობია,
კახეთისა სიმშვენე ქვეყნისთვის უთხრობია;
და გულიდან ცრემლები სიამისა სდენია:
— ვერ დავუთმობთ ვერავის, ეს კახეთი ჩვენია!—
მეც კი ვიცი კარგია, და რაც ყველას მარგია,
დეე იყოს ყველასი სანუკვარი, ძვირფასი,
და მის სადღეგრძელებლათ მო, ავსწიოთ ჩვენც თასი:
გაუმარჯოს კახეთსა—საქართველოს თაიგულს,
ჩვენს კახელსა გაბედულს და შრომაში ბედით კრულს!
იგი ასწევს ალამსა, გზას გაუხსნის სიყვარულს,
ჩვენც მივუძღვნით სალამსა—ერთად მოვსპობთ ტანჯვა, წყლულს!

———

ვაშა! ტურფა კახეთსა, მის შავ თვალა ქალებსა,
ვაშა! გლეხს, შრომის შვილებს, წითელ გვარდიელებსა,
ვაშა! ალაზნის დუდუნს, თმა ქოჩორა გორებსა,
ვაშა! ვინც გასაჭირში მოძმეს მოიგონებსა,
ვაშა! საქართველოის ზურმუხტოვან კახეთსა,
გასაჭირში ხელს მოგვცემს, სიტყვას გვაწვდენს მკვახესა!
მე გავყვები ალაზნის ფერადოვან ველებსა,
სალამს ვეტყვი მთა-გრეხილთ კახეთის დამცველებსა.
ვინძლო—ერთად ავლმართოდ დროშა თავისუფლების,
ძმები ვიყოთ გურია-ქართლ მეგრელ-იმერლების,
მტერი ვიყოთ სამშობლოს მოღალატე, გამცემის,
და ერთგული მომავლის, შორე იდეალების!

დ. მეჩონგურე

23 ივლისი, 1918 წ.
ქ. თფილისი.

მა. 24 წარმომადგენლის ალაგას დაესწრო 14 კაცი. პარიტეტი ამ სხდომაზე დაცული იყო. 7 წარმომადგენელი დაქირავებულთაგან, 7 წარმომ. დამქირავებლებისაგან.

გასარჩევია: თავმჯდომარის მოკლე მოხსენება კამერის ერთი წლის მუშაობისა, კამერის თავმჯდომარის არჩევა, კამერის წესდების განხილვა და მიღება, ნორმა სადგომის და ხარჯისა, სხდომის ქვორუმი და სხვა საკითხები.

სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა კამერის მუშაობის შესახებ. ის ამბობს: კამერა პირველათ დაარსდა 9 მაისს 1917 წელს, მუშათა და ჯარისკაცთა და ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს შეთანხმებით. პირველ ხანებში კამერაში წარმომადგენლები იყვნენ გამოგზავნილი მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოსგან და ვაჭარ მრეწველთა საბჭოსაგან. ახლა კი მუშების წარმომადგენლები გამოგზავნილი არიან პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან. სრული ცნობა იმისა, თუ რომელი წარმომადგენელი, მუშებისაგან, რამდენი ხნით არიან არჩეული ან რათ არის, რომ ხშირათ ხდება წარმომადგენელთა გამოცვლა, არ ვიცი. ერთი ცხადია, რომ მდგომარეობა, რომელიც იყო სრულიად რუსეთში და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, ნათელ ჰყოფს, რომ ინტენსიური მუშაობა მუშებისა სხვადასხვა ორგანიზაციებში, იძულებულსა ხდიდა მუშების წარმომადგენლებს წასულიყვნენ სხვა საქმეებზე, მაგალითად ფრონტზე, წითელ რაზმში და სხ. წესდება, რომელზედაც კამერა უნდა მუშაობდეს ჯერ-ჯერობით დაკანონებული არ გვაქვს, წარმოდგენილი იყო ორი წესდება ამხ. არსენიძესი და მილოსლავსკისა. აქედან, შევათანხმეთ მუხლები ერთი მეორეს და შევუდექით მუშაობას.

როგორც იცით კამერის დებულება რუსეთის დროებითი მთავრობისგან არის დამტკიცებული და ამიერ-კავკასიის გამოყოფას კომისარიატმაც მიიღო ეს დებულება.

პირველი ოფიციალური სხდომა გვქონდა 9 მაისს 1917 წ. 1917 წლის 9 მაისიდან 1918 წლის 9 მაისამდე სხდომებს დაესწრნენ მუშების წარმომადგენლები საერთოთ: ავატკოვი 10 სხდომას, ვლადიმიროვი 22, გრაჩოვი 27, დავიდოვი 6, დუმბაძე 7, პარმ. კახიანი 33, კიკნაძე 2, კობახიძე 9, კორძახია 8, ლანდია 2, მიკირტუმოვი 24, ნაცვალოვი 4, ორლოვი 22, პუგაჩოვი 8, რუბცოვი 15, სარიანი 5, ტოფაძე 18, ხელაძე 16, ცხვედაძე 13.

თავმჯდომარის თქმით ერთი წლის განმავლობაში სხდომა შედგარა 175-ჯერ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ დეკემბერში 1917 წელს უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა კამერა, რადგანაც პოლიტიკური მომენტი დიდ გავლენას ახდენდა კამერის მოქმედებაზე. წლის განმავლობაში 8 სხდომა არ შემდგარა. მიზეზი სხვადასხვა ყოფილა ასე რომ ერთხელ სინათლე ჩაქრა და მეორე დეკემბრის გამოსვლა. ადგილობრივი დანარჩენი 6 სხდომა გადიდო სამჯერ მუშების დაუსწრებლობით და სამჯერ დამქირავებელთა დაუსწრებლობის გამო.

იყო შემთხვევა, რომ დღეში ორჯელ ხდებოდა სხდომა. პირველ ხანებში მუშები არც კი უცდიდენ საქმის გარჩევას, მორიგეობას და მოითხოვდენ, რომ საჩქაროთ მიგვეცა დადგენილება. ბოლოს დაინიშნა კვირაში სამი სხდომა ბიუროსი. სააპელაციო და პლენარული სხდომები სხვა იყო. სხდომა რომ შემდგარიყო ბიუროსი, პირველათ საჭირო იყო 8 წარმომადგ. პარიტეტით. შემდეგ 6 ზე დავიდ... თითო სხდომას ვანდომებთ 6—7 საათს. იყო შემთხვევა ერთხელ, საღამოს 6 საათიდან დილის ოთხის ნახ. საათამდე ვიმუშავეთ. და ნაშუაღამევის ორის ნახევარზე, 11 საათზე ხშირათ ვასრულებთ სხდომას. თითო სხდომაზე ინიშნება 8 საქმე. 9 აგვისტომდე გარჩეულია 408 საქმე. აქ უნდა აღვნიშნოს კაპიტალს და შრომას შორის ... ბული უთანხმოება, ე. ი. ... და დაქირავებულთა შორის ... უთანხმოება, მაგრამ რაც შეეხება მასწავლებელს, კბილის ექიმს, რკინის გზის, სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, ესენი შედიან თუ არა კამერის კომპეტენციაში ნათლათ გარკვეული არ არის. ამის მიუხედავათ 14 დეკემბრის კანონის მიხედვით ყველა უთანხმოება, რომელიც ამოცენდება ხაზეინ მუშის შორის ირჩევა კამერაში.

რამდენი მუშა დააკმაყოფილა კამერამ? ამის თქმა ძნელია. კოლექტიური ხელშეკრულება, რომლებიც შეიკრა კამერის საშუალებით, არ ვიცით რამდენ მუშებზე ვრცელდება მოთხოვნილებები კოლექტიურათ გარჩეული ბევრია და ერთ-ერთ ქარხნის დათხოვნილ მუშებმა 100,000 მანეთზე მეტი მიიღეს. კავშირებს როდესაც ეხმარება კამერა, რამდენი წევრი ჰყავთ არ ვიცით. დადგენილებები სხვადასხვა ნიადაგზეა გამოტანილი, მაგალითად: ზრდილობიან მოპყრობაზე, 8 საათის სამუშაო დროზე, მიღება-დათხოვნაზე, ჰიგიენურ ბინებზე დასასვენებლათ გაშვებაზე და სხ. ქალაქი ბევრჯერ გადარჩა კრიტიკულ მდგომარეობიდან, მაგალითად: აბანოში მომუშავეთა გაფიცვისაგან, წყალსადენის მუშების გაფიცვისაგან, ელექტრონის სადგურების მუშების გაფიცვისაგან და სხვა. ჩვენი კამერის მოქმედება მარტო თფილისით არ ისაზღვრება. კამერის მოქმედების ფარგლებში შედის თითქმის სრულიად ამიერ კავკასია. როგორც თავმჯდომარემ სთქვა, კამერის წარმომადგენელთა ყრილობაზე რუსეთში, გამოირკვა, რომ ყველა კამერების მოქმედებაში სრულიად რუსეთისა, თფილისის კამერის მეორე ალაგს სდგას მკვიდრ ნიადაგზე მუშაობით. თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ, სხდომა თავმჯდომარის არჩევაზე გადავიდა. სხდომაზე რჩებიან მხოლოდ კამერის წევრები რიცხვით 15 კაცი, მცირე თათბირის შემდეგ, დახურული კენჭის ყრით, არჩეულ იქნა თ. ი. პალმოვი. მიიღო 14 ხმა. ერთმა თავი შეიკავა. ამ რიგათ, თ. ი. პალმოვი მესამეთ იქნა არჩეული თფილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერის თავმჯდომარეთ. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ როგორც თავმჯდომარის, აგრეთვე მდივნის და კანცელარიაში მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შემდეგ მოიწვიეს ყველანი და სხდომა გადავიდა მორიგ საკითხებზე. ერთ სააპელაციო საკითხის გარჩევის შემდეგ ქვორუმის საკითხი გაირჩა. მიღებულ იქნა, რომ მორიგი სხდომა იხსნება სამ-სამი წარმომადგენელთა დასწრებით. ამასთან სხდომა გაიხსნება თითოც რომ იქნეს. სააპელაციო სხდომისთვის საჭიროა ოთხოთხი წევრი პირველზე, და მეორე სხდომა შესდგება იმდენ დამსწრით, რამდენიც დაესწრება. და არა-ჩვეულებრივ პლენარულ სხდომისთვის რჩება ძველი ქვორუმი, ე. ი. ნახევარზე მეტი წევრთა დასწრებაა საჭირო. ამასთან, გასარჩევი იყო კიდევ ოთახის და ხარჯის ზომა. 13 აგვისტომდე მუშა, რომელიც სარგებლობდა დამქირავებელთან ოთახით, სალიკვიდაციო იძლეოდა კამერის ნორმით 30 მ. და საჭმელით 60 მ. ეს ნორმა სიძვირის გამო გადიდებულ იქნა საჭმელის 200 მ. და ოთახის ქირა ძველი დარჩა. კამერის მოქმედების გაცნობა საჭირო არის მუშებისათვის დაწვრილებით.

კამერის წევრთა მუშაობა საგრძნობი არის ყველა მათთვის, ვისაც დამოკიდებულობა აქვს მასთან და ეს არის თფილისის მუშათა კლასი. საჭირო არის, რომ მოწვეულ იქნას თავმჯდომარე პროფ. კავშირთა საბჭოს უახლოეს სხდომაზე და ყველა კავშირთა გამგეობათა წევრების დასწრებით წაკითხულ იქნეს თავმჯდომარის ვრცელი მოხსენება კამერის მოქმედების შესახებ.

ც. მ. კ. წ. ვიქტ. კობახიძე.

## ჯარისკაცთა წერილები

სენაკის მაზრის მფრინავი რაზმი.

სენაკის მაზრის მფრინავი რაზმი თანახმად ბრძანებისა 24 ივლისს იქნა გაგზავნილი რაზმის უფროსის პრაპ. იასონი ჩაჩავას მეთაურობით, რომელსაც უნდა დაეკავებინა ბუბუას ხიდი და ნოღალევი. რაზმს დავალებული ჰქონდა ხსენებული ადგილები დაეცვა ბალშევიკური ბრბოების თავდასხმისაგან. რაზმი 26 ივლისს ნოღალევში მივიდა, სადაც გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი რაზმისა დარჩა ნოღალევში პრაპ. ნიკიფორე მი...შვილის მეთაურობით, მეორე ნაწილი რაზმის უფროსის მეთაურობით გაემგზავრა ბუბუას ხიდის დასაკავებლად. მიუახლოვდა რა რამოდენიმე ვერსით ხიდს, უფროსმა მზვერავები გაგზავნა, რომელთაც ამბავი მოგვიტანეს, რომ ბუბუას ხიდი დაკავებულია ბრბოების დარაჯებით. რაზმის უფროსმა განკარგულება მოგვცა და რაზმი გადავიდა საომარ მოქმედებაზე. ნაბრძანები იყო ხიდთან მიახლოვების თანავე დაგვეკავებინა პოზიციები. რაზმის მოქმედება და მიახლოვება ბრბოებმა ნათლად დაინახეს მაღლობებიდან და სროლა დაგვიწყეს. რაზმს წინადადება ჰქონდა ბუბუას ხიდის დაცვა და არა ბრძოლით აღება. მიუხედავათ ამისა და ყოვლად მიუვალი მდებარეობისა ჩვენი რაზმი იმ საღამოსვე ბრძოლაში ჩაება. ბუბუას ხიდი მდებარეობს სამი ციცაბო კლდეების ძირს. ხიდთან მიახლოვებისთანავე ერთი მხრიდან, პირდაპირ მაღლობიდან ბრბოებმა სროლა აგვიტეხეს. რაზმისათვის შეუძლებელი იყო ამ მოულოდნელ დროს დაეკავებინა რომელიმე მაღლობი მცირე რიცხვისა გამო, რომელიც შესდგებოდა 50 ჯარისკაცისაგან. ნათლად ვატყობდით, რომ მოპირდაპირის რიცხვი ცოტა არ იყო, ამიტომ მალე ჩვენი რაზმი მომწყვდეული დარჩა კლდეებს შუა. მარცხენა მთის მაღლობებიდანაც სროლა დაგვიწყეს. მიუხედავათ ბრბოს სიმრავლისა და მასთან ყოვლად მოუხერხებელი სამხედრო მოქმედებისათვის ადგილისა, რაზმმა უფროსის განკარგულებით რაც შეიძლებოდა სიუკეთესო პოზიცია, მდებარეობის მიხედვით, აირჩია და ქვის ყორეებისაგან ბარიკადები გაიკეთა, რომლითაც ორივე მხრიდან მოსული ტყვიისაგან რაზმელებმა თავი დაიფარა და ამასთანავე შესაფერისი პასუხი გასცა და მოახერხა კიდეც თავზარის დაცემა მტრისათვის. მთელი დღე და ღამე ტყვიაში იყო გახვეული ჩვენი რაზმი. მეორე ღამეს, რომ უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია ჩვენს რაზმს, სანამ მაშველი ჯარი მოგვეშველებოდა, მარჯვენა მხარის მაღლობზე ფერდობი დაიკავა ტყვიის-მფრქვეველით და რამოდენიმე მსროლელით, ... დასცეს. ბრბოს—მოუ... თან ემატებოდა ... იმის ცდაში იყვნენ მთელი მეორე დღე, რომ რამენაირათ ტყვიის მფრქვეველი დაემარცხებინათ და იარაღი ჩაეგდოთ ხელში. ბრბოებს ბედმა უმტყუნა და ვერ დაამარცხეს ტყვიისმფრქვეველის უფროსი პოდპრაპორშჩიკი დ. კოკაია, ჩააჩუმა თხრილებში ბრბოების სროლა. მოწინააღმდეგე ბრბოებმა კარგად დაინახეს ჩვენს პატარა რაზმში სულის სიძლიერე და გამოცდილი უფროსის ხელმძღვანელობით გაწეული მედგარი წინააღმდეგობა. აი სწორეთ ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ბალშევიკების ბრბო, რომ არ დაეკარგათ თავიანთი პოზიცია და გავლენა. ყრუ და მთებში მიკუნჭული სენაკის მაზრაში ყველა შეუგნებელი და რევოლიუციის მტერი აეყარათ და შეეკრიბათ მთელი თავიანთი ძალა როგორც გორდიდან, გაშტიბიდან, სალხინოდან, ისე სხვა ადგილებიდანაც და შემოგვერტყენ თოფის სროლის მანძილზე ორი ვერსის სიგრძეზე და ასე მოინდომეს რაზმის ხელში ჩაგდება და ამოწყვეტა. ბრბოებს ბედმა აქაც უმტყუნა. ამხანაგი კოკაია ტყვიისმფრქვევლით და მსროლელებით თავის დროზე დაეშვა ძირს გზაზე უგზოუკვლოთ და რაზმის უფროსმა პრაპ. ჩაჩავამ დაუყონებლივ ბრძანება მისცა რაზმს. ხონისაკენ მიმავალი გზით ერთ რიგზე დაწყობილათ, ყოველ მხარეზე სროლის, გახშირებული სროლით პასუხის მიცემით ფრონტი გაერღვია და რაც უნდა დაჯდომოდა რაზმს ტყვეთ არ ჩავარდნოდა. უფროსის გადაწყვეტილება იქნა სისრულეში მოყვანილი. ჩვენი რაზმი წვიმისებურად ტყვიებში გახვეული ორი ვერსის მანძილზე იგერიებდა მტერს, სანამ სამშვიდობოს გამოვიდოდა. სრულიად უმნიშვნელოა რაზმის დანაკლისი. სამი დღის ბრბოებთან ბრძოლაში, რომელთა რიცხვი უდრიდა არა ნაკლებ ხუთას კაცს, ჩვენი რაზმიდან დაიჭრა მსუბუქად ორი ფეხში და ერთი მკლავში. მკლავში დაჭრილმა ამხ. სარიამ არ ისურვა რაზმიდან გასვლა. ფეხში დაჭრილი ამხანაგები მელიტონი ჯღარკავა და ვალერიანე წერეთელი გაგზავნილია მოსარჩენათ ქ. ხონში. რაზმმა დაიხია ქ. ხონში და სამი საათის დასვენების შემდეგ გაემგზავრა ნოღალევისაკენ. იქ შეუერთდა თავის ნაწილს და დარჩება იქავე მთავრობის განკარგულებით.

სენაკის მაზრის მფრინავი რაზმის ჯარისკაცები: ტარიელი ჯალაღანია, იონა ხოშტარია, დიმიტრი ბასილაია, ანტონი მებონია, აპოლონი პანტურია, დ. გაბუნია.

## რკინის გზაზე

საშინელ სურათს წარმოადგენს დღეს რკინის გზით მოგზაურობა. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის უწესოება, რასაც ადგილი აქვს სახალხო მატარებელში დღეს. სახალხო მატარებლები უფრო წვრილფეხა სპეკულიანტების ხელშია, რომელთაც დღე და ღამ არ სძინავთ, რომ ესა თუ ის საქონელი გადაზიდონ თფილისიდან ფოთში და ფოთიდან კი თფილისში. უფრო კი ეს ემჩნევა თფილისიდან მიმავალ მატარებლების ბაგაჟის ვაგონებს, დანარჩენ „საქონელს“ კი შიგ ვაგონებში აპარებენ, რომ ბაგაჟის ქირა არ გადაიხადონ. მე მინდა მივუთითო, ვისაც ჯერ არს, იმ ვაგზატონებზე, რომლებიც დღეს დემოკრატიის ქურქში გახვეულნი მხოლოდ და მხოლოდ თავის ჯიბეს უფრო ივსებენ სხვადასხვა შავ საშუალებებით. იმის მაგივრათ, რომ ხალხს გაჭირვების დროს ხელი გაუწოდონ და დაეხმარონ, ისინი ზემოხსენებულ სპეკულიანტებთან ერთად თავის საქმეს აჭახრაკებენ, ვინაიდან ამისთანა ჯურის რკინის გზის მოსამსახურეს ხშირათ უხდება სპეკულიანტთან „ანგარიშის“ გასწორება, რასაკვირველია, თავის ჯიბის სასარგებლოთ.

ამ სტრიქონების დამწერს ჰქონდა შემთხვევა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისთვის თითონ ეყურებინა ბაგაჟის მისაღებ განყოფილებაში. 11 აგვისტოს საღამოს ფოთის მატარებლით მინდოდა ოჯახის ავეჯეულობის ბაგაჟით გაგზავნა. ჩემთან ერთად იყვენ ბევრი სხვებიც, რომელთაც უკვე მისცეს ბაგაჟათ „ვესოვშჩიკს“ თავიანთი ნივთები (რასაკვირველია, „დიპლომატიური“ მოლაპარაკების შემდეგ). მეც მეგონა, რომ ჩემიც მიიღო, მაგრამ მე უარი მტკიცა: „არ შეიძლება თქვენი „ბაგაჟის“ მიღება, შეიძლება მაზუთი შემოაკლდეს მატარებელს გზაში და შეჩერდეს მატარებელი სადმეო“. ასეთი პასუხის შემდეგ მე იძულებული ვიყავი ჩემი ნივთებისთვის მთელი ღამე მედარაჯნა და დილით, 12 აგვისტოს, გამეგზავნა № 23 მატარებლით. როდესაც დილით ბილეთი ავიღე და დავაპირე სხვა ნივთებთან ერთად შეფუთიც მიმეცა გასაგზავნათ, ამ დროს ბაგაჟის განყოფილების კასირი განკარგულებას აძლევს „ვესოვშჩიკს“—გარდერობი არ მიიღოთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მე იძულებული გავმხდარიყავი შუა-

ფი ისევ უკან წამელო სახლში, ან და „დიპლომატობა“ გამომეჩინა. ბოლოს, როგორც იქნა, „შევიდენ“ ჩემს მდგომარეობაში ორივე,—კასირიც და „ვესოვშჩიკიც“,—და მიიღეს ჩემი შკაფიც.

ახლა მინდა შევეკითხო იმ ვაჟბატონებს: სცნობენ თუ არა რკინის გზის კომიტეტს, ან თფილისის სადგურის კომიტეტს, რკინის გზის მინისტრს, უმთავრეს მათ ორგანოს,—თუ სცნობენ და ემსახურებიან მათთან ერთად სახალხო საქმეს, რათ სცხებენ ჩირქს იმ დემოკრატიულ ორგანოებს, რომლის სათავეშიც ნამდვილი ხალხის წარმომადგენლები არიან? რატომ არის, რომ ისეთ აშკარა უსირცხვილობას აქვს ადგილი თფილისის სადგურზე ბაგაჟის გაგზავნის დროს, რომელიც ჩაიდინეს 12 აგვისტოს, ორშაბათს? განა იმაში გამოიხატება მათი „მუშაობა“, რომ ხალხი ყვლიფონ, ქვეყანას-კი ჩირქი მოსცხონ და ნამდვილ პატიოსან მუშაკს კი სახელი გაუტეხონ? ნუ თუ ჰგონიათ ამისთანა ვაჟბატონებს, რომ ხალხი, მგზავრები, მათთვის არსებობს და არა ისინი ხალხისთვის? იქონიეთ ცოტა პატიოსნებაც და ერიდეთ ისეთ თავხედობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 12 აგვისტოს თფილისის სადგურზე „ბაგაჟის“ განყოფილებაში. თფილის რკინის გზის სადგურის ადმინისტრაციას კი მეტი ყურადღება ევალება ამისთანა ვაჟბატონების ასალაგმავად.

უ. ჯაში.

# პროვინცია

**დ. ამბროლაური** (რაჭა). 9 აგვისტოს აქ შესდგა ქვემო რაჭის გლეხთა დეპუტატების, კოოპერატივთა წარმომადგენლებისა და საზოგადოების კომისართა გაერთიანებული კრება. წეს-რიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: თანამედროვე მომენტი; მოხსენება სამაზრო გლეხთა ცენტრიდან; საბჭოების შესახებ, ჩამონაჭრებ; კოოპერატივთა სამაზრო კავშირის დაარსება; სასურსათო კომიტეტი; გზები; ხოლერა და საქონლის ჭირი და სოფ. სხვავის ამბები.

თანამედროვე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ჭელიძე. სამაზრო გლეხთა ცენტრიდან მოხსენება გააკეთა ვ. კობახიძემ. საბჭოების ინსტრუქციის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც ამ ჟამად მას არ მოეპოვება ინსტრუქცია, უცადოს, სანამ მთავრობა გამოსცემდეს რამე სახელმძღვანელო ინსტრუქციას. ეგრედ წოდებულ „ჩამონაჭრების“ შესახებ ამ ორი-სამი თვის წინათ გლეხთა დეპუტატების სიეზდმა დაადგინა, რომ იმ ყოფილ მებატონეთ, რომელთაც დღესაც ის „ჩამონაჭერი“ გლეხისა გაუყიდავი აქვს და მის გარდა კიდევ მოეპოვება საკმაო მიწა, ჩამოერთვას ეს „ჩამონაჭერი“ და დაუბრუნდეს ისევ გლეხს და აგრეთვე იმ მებატონეებსაც, რომელთაც გაუყიდნიათ ეს „ჩამონაჭრები“, მაგრამ მაინც მიწა კიდევ ბლომათ მოეპოვებათ, მათაც ისე მოექცნენ, როგორც ზემოხსენებულ კატეგორიის მებატონეთ. ეს დადგენილება ბევრ საზოგადოებაში სისრულეშიაც მოიყვანეს და ამას არავითარი ექსცესებიც არ გამოუწვევია, როგორსაც მოელოდენ, ამ რეზოლიუციის მოწინააღმდეგენი, პირიქით გლეხობამ მეტი ნდობით დაუწყო ცქერა მთავრობას. ეს საკითხი ზოგიერთა წყალობით თითქმის ყველა კრებებზე ისმებოდა, მაგრამ კრება ისევ ძველ გადაწყვეტილებას სტოვებდა ძალაში. ახლაც ამ კრებაზედაც დასმულ იქმნა დღიურ წეს-რიგში, მაგრამ დიდი კამათის შემდეგ ისევ ლიათ დარჩა. კოოპერატივთა სამაზრო კავშირის დაარსება კრებამ აუცილებლად სცნო და დაადგინა: ეთხოვოს ამ საქმის ინსტრუქტორ მ. ტოროშელიძეს, მოვიდეს რაჭაში და რაც შეიძლება მოკლე ხანში შეუდგეს საქმის მოგვარებას. სასურსათო კომიტეტის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ეთხოვოს რაიონის კომისარს, რომ მომავალ კრებისთვის სასურსათო კომიტეტის გამგეობა მთელი შემადგენლობით მოიწვიოს, რადგანაც ხსენებული გამგეობა სისტემატიურად გაურბის კრებებს და ანგარიშს არ ასწორებს კოოპერატივებთან.

გზები დაწყებული დ. ონის ხიდიდან ტყიბულამდის შესაკეთებელია და ამაზე კი არავინ თავს არ იტკივებს თუმცა რამოდენიმეჯერ იყვნენ ინჟინრები ავტომობილებით. ამის შესახებ კრება ადგენს: ეთხოვოს მაზრის ერობას, მიიღოს გზების შესაკეთებლათ სასწრაფო ზომები. ხოლერის ნიშნებით გარდაცვლილან რამოდენიმე პირი ს. ხევასა და ბარში და აგრეთვე საქონლის ჭირიც ყოფილა სოფელ ხვანჭკარას. ამის შესახებ კრება ადგენს, რომ სენი არ გავრცელდეს, ახლავე მიღებულ იქნეს საჭირო ზომები. დასასრულ კრებას სოფ. სხვავის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიონის კომისარმა და მოუწოდა, რომ საბჭოებს წინდით მონაწილეობა ხსენებულ სოფელში გადმოსულ (იმერეთიდან) ბრბოს (რიცხვით 50-მდის კაცი) წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც ეს ბრბო ხსენებულ სოფლის მკვიდრთ იარაღსა და სურსათს სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება განადგურებით. კრებას შესაფერისი დადგენილება გამოაქვს.

ვალიკო დონაძე.

---

**სოფ. კავთისხევი** (ქართლი). ეს სოფელი მდებარეობს ქვემო ქართლში, მდ. კავთურის ხეობაში, რომელიც იღებს სათავეებს ქსილისის მთებში. მაგრამ მდინარე იგი, მთისაა და მოდიდდება მხოლოდ გაზაფხულის წვიმების შემდეგ და ზაფხულის განმავლობაში რუებად გადგებული შრება, რომ სოფლის ბოლომდის ვერ აღწევს. ჰაერი მეტად საღი და კარგია და სიდიდითაც აქ სოფელს ქართლის სოფელში ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს, რიცხვით 1500 კომლამდე იქნება. მოსავალი წელს მეტად კარგია. პურს ამისთანა გამოსავალი დიდი ხანია არა ჰქონია. ნათესიც წელს ბევრი იყო და მომავალ წელსაც არ დარჩება თითქმის არც ერთი დაუთესავი მიწა. სიმინდსაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ გვალვამ გააფუჭა. თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთი ხეირიანი წვიმა არ მოსულა და ამის გამო ასწორედ, რომ ერთ ნაკადულ წყალზე ასეთი ცილობა, ჩხუბი და აყალმაყალი მოსდით მცხოვრებლებს. ამ მხრივ „სამოლვაწეოდ“ ფართე ნიადაგი ეშლება სოფლის მერუეებს და მევლეებს, რომლებიც ხშირად თავის უფლებას ბოროტად ხმარობენ და წყალს იმას აძლევენ, ვისგანაც რასმეს გამოელიან.

ანარქიას აქაც ადგილი ჰქონდა და იყო რამოდენიმე შემთხვევა უდანაშაულო პირების მოკვლისა სოფლის გახულიგანებული, ვითომდა „ბოლშევიკურად“ მოაზროვნე ყოფილი ჯარისკაცების მიერ, რომელთა ავ მოქმედებასაც ბევრი ნაძირალა უწყობდა ხელს თავის ხელის მოსათბობად. ეხლა ეს ხულიგანური მოძრაობა ჩაჰქრა ადგილობრივი ადმინისტრაციის მეოხებით. ამ მხრივ სამართლიანად იქცევა რაიონის კომისარი ლაშქარაშვილი, რომელმაც ალლო აულო გლეხობას, რომ მათ სწყურიათ წესრიგი, სამართალი და მტკიცე მთავრობა და ამიტომ იგი სცდილობს ალაგმოს ყოველგვარი „ბოლშევიკური“ და ნაძირალა ჩარჩ ვაჭრული პოლიტიკის მატარებელნი. ამ ზაფხულს აქ ბევრი უცხო პირი იაწყდა, რომელთაც ისედაც გაძვირებული ცხოვრება უფრო გააძვირეს. ეს კი უნდა დაიხსომონ აქ ჩამოსულმა სპეკულიანტებმა და ყველა მათმა თანამოაზრეებმა, რომ მათ სხვადასხვა „ორიენტაციების“ ტრიალს და შოვინისტურ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება რესპუბლიკის და ადგილობრივი ნორმალური ცხოვრების წინააღმდეგ— სასტიკი წინააღმდეგობა გაეწევა. კულტურული ცხოვრება აქ წინად უფრო დუღდა და ამ ბოლო დროს კი მიძქრალი, ეხლა იწყებს განახლებას. ამ მხრივ ადგილობრივ მასწავლებლებს ფართო ასპარეზი ეშლებათ წინ და იმედია იგინიც, სხვა მოწინავე პირებთან ერთად, ენერგიას არ დაიშურებენ ხალხის გასანათლებლად, ადგილობრივად რესპუბლიკის და დემოკრატიის გასამაგრებლად. ამ ზაფხულს მასწავლებელ ჯანოევას მეოხებით კიდეც მოაწყვეს წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაიდო სამკითხველოსთვის. ეს კია, რომ სამკითხველოს კარები თითქმის გამოკეტილია და მით იშვიათად სარგებლობენ. საჭიროა ამ მხრივაც ზომების მიღება, რომ სამკითხველომ ხალხში თავისი დანიშნულება მთლიანად შეასრულოს. კოოპერატივი მოქმედებს შეძლებისდაგვარად და მას საკმაოდ გამოცდილი პირიც უდგია სათავეში, მაგრამ საქონლის სიმცირეა და ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თფილისშიც არ იშოვება საჭირო საქონელი და მით უმეტეს ფულზე.

ერობისთვის წინასწარი მუშაობა აქ დიდი ხალისით სწარმოებს და ყველა მოწადინებულია ეს სამეურნეო ორგანიზაცია, რაც შეიძლება, მალე შეიქმნას. არჩევნები ამ თვის ბოლოსთვის არის დანიშნული და იმედია შიგ აირჩევიან ღირსეული პირები. ერობის საქმე— თვით ადგილობრივ მცხოვრებთა საქმეა და შიგ გამოცდილ გლეხებს და საქმიან ინტელიგენციას გზა გაეხსნება.

საერთოდ აქეთა მხარე მდიდარია სხვადასხვა მადნეულობით და სოფ. კავთისხევის ახლოსაც მოიპოვება ისეთი ადგილები, საცა შეიძლება ნავთის დამუშავება. ამ ადგილს „საყუპრეები“ ეწოდება, საცა მაზუთი აღმოჩნდა და ომის წინად ვინმე სერებრიაკოვს კიდეც დაუწყია მისი ექსპლოატაცია, უშინჯიათ, მაგრამ მერე სხვადასხვა მიზეზის გამო ისევ მიუტოვებიათ. აგრეთვე მინდვრებისკენ მოიპოვება მლაშე ადგილები, საცა შეიძლება მარილის წარმოება. დღეს სწორედ ამ ნაწარმოებთა სიმცირეს განიცდის ჩვენი რესპუბლიკა და ამ ადგილებს რომ ჩქარა ყურადღებას მიაქცევდეს და აამუშავებდეს ქარხნებს—ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა, როგორც თვით ჩვენი სახელმწიფოსთვის, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებისთვისაც.

ი—ძე.

# წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე 157 ნომერში მოთავსებულია გორა ბერეჟოულიდან წერილი, რომელიც ეხება მიწის რეფორმას. რწმუნებულნი ამა სოფლისა, მოკლეთ აღნიშნავენ ამ საქმეს და მოკლეთვე გამოჰყავთ დასკვნა, რომ, რაკი მირიან ჭანიშვილმა მოასწრო და გადასცა ადგილი თავის სიძეს და დას ამისათვის მასთან ვსწყვეტთ ყოველივე კავშირს და სხვ.

ამ საქმეში თავიდან მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ, რამოდენიმე კერძო ინტერესებით გაჟღენთილი პიროვნებები, რომლებიც სარგებლობდენ იმ გარემოებით, რომ მე სახლს მოშორებული ვიყავი, ახთენდნენ ყოველ კვირა კრებას და გამოჰქონდათ ჩემს საწინააღმდეგო დადგენილებები. იძულებული ვიყავი ჩავსულიყავი ამ საქმის მოსაწესრიგებლათ სოფელში და რომ ამას საბოლოო ხასიათი ჰქონებოდა, კრებაზე იყო მოწვეული ჩოხატაურის სარაიონო კომისარიატის და ჩოხატაურისავე სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენელი. მათ განუმარტეს ხალხს ყოველივე მხრივ კანონი და მისი მნიშვნელობა. თითქოს უმეტესობა დასთანხმდა, თუმცა ნაწილი მაინც გაიძახოდა, რომ ჩვენი კანონი თითონ ჩვენ ვართ და ჩვენ არავითარ კანონს არ ვსცნობთო... მე გარკვევით განვუცხადე მაშინვე ხალხს, რომ მე მართალია, ნაწილი ჩემი მამულისა გადაცემული მაქვს ჩემს დაზე და სიძეზე და ესეც იმ დროს, როდესაც დეკრეტი არ იყო გამოსული და არ ვიცოდით, ვის რამდენს დაუტოვებდენ, ესეც იმ დროს, როდესაც რამოდენიმე პიროვნებები, რომლებიც დღეს ამ კომპანიას სათავეში უდგათ, მოდიოდენ ჩემთან და მთხოვდენ ადგილის მიყიდვას, მაგრამ მე არ მივყიდე მათ და სხვას მუქთათ მივეცი, მაგრამ ეს არის ყოველივე კანონის საქმე და მე პირადათ უარს ვაცხადებ ამაზე, სანამ ამას მიწების მიმღები კომისია არ განიხილავს და არ ჩაიბარებს, რაც კანონით მას ეკუთვნის, მანამ კი მე ვღებულობ ერთ ნორმას 20 ქცევას, დანარჩენი კი ჩაიბარეთ და ამისათვის მომეცით კომისია-მეთქი. აირჩიეს კომისია, დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ ამ კომისიას მაშინვე ეტყობოდა, რომ მუშაობდა ფორმისთვის, ნამდვილათ კი მიზეზს ეძებდა, რომ ისევ აწეწილ-დაწეწილი დარჩენილიყო ეს საქმე. შევატყე ეს და მოვთხოვე კომისიას, თუ რას ითხოვდა ჩემგან? რაც მითხრა, ყოველგვარი უსიამოვნების ასაცილებლათ დავთანხმდი, ამას დაესწრო გარეშე პირებიც. დარწმუნებული იმაში, რომ გათავდა დროებით მაინც ამ ადგილის გარშემო დავა, წამოვედი ჩემს საქმეზე, მაგრამ მოვსტყუვდი. ამ გათავებულ საქმეშიაც ნახეს საპროვოკაციო მიზეზი, მიუხედავათ იმისა, რომ იმათი წინადადება სავსებით იყო შესრულებული, მაინც მოახერხეს საქმის არევა. წყალი ისევ აამღვრიეს და სწორეთ იმ პირებმა, ვისთვისაც ეს წყლის ამღვრევა საჭირო იყო. საქმე ის არის, რომ აქ ჩემის მეთაურობით რამოდენიმე პირმა ავაშენეთ წისქვილი, რომელიც ჯერ ერთი, რომ თავის მოწყობილობით სჯობდა სხვა წისქვილებს და მეორეც, რადგანაც 2 ფ. ერთ ოყას ვღებდით ძ რაც უმთავრესია—სასტიკათ იდევნებოდა ქურდობა, რის მიზეზითაც რამოდენიმე წისქვილი დაზარალდა და განსაკუთრებით კი მეზობელი წისქვილი გაჩერდა (დიმიტრი ერისთავისა), რომლის მოურავმა და მის დამქაშებმა შექნეს ეს კამპანია, რომ მისულიყვენ ბოიკოტამდე და წისქვილი გაჩერებულიყო. მიაღწიეს კიდევაც მიზანს. ბოიკოტი გამოაცხადეს, მაგრამ, დახეთ უბედურებას, ბოიკოტი ჰაერში დარჩა გამოკიდებული და წისქვილი მაინც დღე და ღამე მუშაობდა.

ბოლოს მივიდნენ რამოდენიმე პირი და წისქვილი დაშალეს, ნაწილები სახლში წამოიღეს, რომ არ ემუშავნა წისქვილს, მაგრამ იძულებული ჰყვეს, რომ ისევ უკან დაებრუნებიათ... ამას ეს ვაჟბატონები ხალხის სახელით სჩადიოდენ, მაგრამ ხელი რომ ვერ შეგვიშალეს, მერმე დინამეტები მოაწყვეს და იმით გააფუჭეს წისქვილები... მომდიოდა ყოველდღე ამის დეპეშები, მაგრამ იძულებული ვიყავი, რადგანაც სამსახური ნებას არ მაძლევდა, დროებით უყურადღებოთ დამეტოვებინა, მხოლოდ რაკი ყველა ამ ყაჩაღურ და უსინდისო გამოსვლებს კერძო პირები სჩადიოდნენ ხალხის სახელით, მე ოფიციალურად მივმართე გორა — ბერეჟოულის მცხოვრებლებს, როგორც ჩოხატაურის რაიონის, აგრეთვე ჯვარცხმის საზოგადოების კომისრის საშვალებით, რომ რაკი მათ ასე გაამწვავეს ეს საქმე და, ასეთ საშვალებამდეც კი მივიდნენ, საქმის საბოლოვოთ გამოსარკვევათ და მოსაწესრიგებლად აგვერჩია მიუდგომელი სამსჯავრო— სამსჯავრო უნდა შედგარიყო შემდეგი პირებისაგან: 1 რწმუნებული ს. გორა-ბერეჟოულიდან, ერთი კი ჩემგან, უნდა ყოფილიყო ჩოხატაურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტიდან, 1 ჩოხატაურის რაიონის საადგილ მამულო კომიტეტიდან და ერთიც ამავე რაიონის ს. დ. პარტიული კომიტეტიდან. აი ამ ხუთი კაცისაგან შემდგარ სამსჯავროს უნდა გაერჩია ეს საქმე, მაგრამ ეს გორა ბერეჟოულის მცხოვრებლებმა, როგორც მაცნობეს, არ მიიღეს და არჩიეს უფრო მარტივათ საქმის გადაწყვეტა... შეწყვიტეს ჩემთან კავშირი. მე აქ არ შევუდგები იმის მტკიცებას, თუ რამდენათ ძვირათ ღირს ჩემთვის მათი კავშირის შეწყვეტა—ბევრ მათგანთან მე ფაქტიურად დიდი ხანია კავშირი შეწყვეტილი მაქვს, რადგანაც საერთო არასოდეს არაფერი მქონია. მაგრამ რაკი დღეს უკვე ოფიციალურად ვხედავ მთელი სოფლის წარმომადგენლებს გაზეთის ფურცელზედ, რომელთაც, ალბათ, საამისო რწმუნებაც აქვთ და რომელთაც მეც პირადათ პატივს ვსცემ, როგორც პიროვნებებს, მე ხელ ახლავ ვუყენებ ჩემს მოთხოვნილებას სოფ. გორა-ბერეჟოულის მცხოვრებლებს, რომ ამ საქმის ნათელის მოსაფენათ და მიუდგომელი მსჯავრის დასადებლად ავირჩიოთ ხუთი კაცისაგან შემდგარი სამსჯავრო, რომელშიაც უნდა შევიდეს, ზემოთ მოხსენებული პირები.

დეე ამ სამსჯავრომ დასდვას ორივე მხარეს მოქმედებას მსჯავრი, რომელიც გამოქვეყნებული უნდა იქმნეს გაზეთის საშვალებით და თითეულის მხარის ნამოქმედარს თავისი სახელი უწოდოს, რის შემდეგაც ნებას ვიტოვებ ყოველგვარი ზარალი მოვითხოვო ჩემზე მოყენებული.

მირიან ჭანიშვილი.

---

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს პატარა წერილს თქვენ გაზეთში. მე დავიწყე მუშაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ეგრეთ წოდებული რემონტის მუშათ, დაახლოვებით 1877—78 წლებში. ამ დროიდან დამოკიდებულება მაქვს რკინის გზის ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეებთან. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თუ რანაირ პირობებში გვცხდებოდა მუშაობა ჩვენ რკინის გზის და ქარხნების მუშებს.

ჩვენი მუშაობა განისაზღვრებოდა არა საათობით, არამედ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. ამას უნდა მიუმატოთ ღამის, კვირისა და უქმე დღეების მუშაობა. ამდენი ხნის განმავლობაში ასე ვიტანჯებოდი და დღეს, როცა თავისუფლად ამოვისუნთქე, 15 მკათათვის თარიღით უეცრად მომდის გზის ლიანდაგის უფროსისაგან დეპეშა, სადაც ამბობს: 31 ივლისიდან სამსახურიდან დათხოვნილი ხარო. გაკვირვებული ვარ და ჯერაც ვერ გამიგია, რაშია საქმე.

რად დაგვითხოვეს უმიზეზოდ და თუ მიზეზები იყო რამე, რატომ არ გამოაქვეყნებენ? ვითხოვთ უფროსმა საჭირო საბუთები წარმოადგინოს ამის შესახებ.

მე ეხლა უკვე ხანში შესული კაცი ვარ. ორმოცდა ჩვიდმეტ წელში ვდგავარ და მას აქეთ ჩემთვის სხვა ხელობის შესწავლა ან დადგომა სხვა ადგილზე შეუძლებელია და ჩემ ძველ ხელობას კი მაშორებენ ჩემდა გამოურკვეველი მიზეზებით.

გზის ოსტატი მაქსიმე რუხაძე.

სად. კარატაპა.

# ცნობები

მე-15-ე თურქესტანის მსროლელთა პოლკში მე-2 როტაში მსახურებდა ჯარის კაცი ესტატე გვასალია, რომლისაც არავითარი ცნობა ენკენისთვიდან არ მიგვიღია; თუ ვინმემ რამე იცით ზემოხსენებული ჯარის კაცისა, უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ნაოლაღევი, სენაკის მაზრა, სოფელ თამაკონი სტეფანე გვასალია.

## რკინის-გზის მიმოსვლა.

თფილისიდან გავა:

(თფილისის დროით).

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9\|10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4\|3c | დღის | 1 | — |

თფილისში მოვა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11\|12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| ს. ნაინიდან | № 4c\|3 | დილის | 11 | — |


**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

იღებს ქალებს და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9 53. (24—7)

9 აგვისტოს მატარებელში დავკარგე უბის წიგნაკი, რკ. გზის წლიური ბილეთი, თოფის ტარების ნებართვა და წერილი რუსულ ენაზე დაწერილი მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, ნაძალადევი, 1 ლი რაიონის სახ. გვარდიის შტაბი ხვთისავარ ტერტერაშვილს. გამომგზავნი მიიღებს საჩუქარს.

**კერძო მიხეილის საავადმყოფო**

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ქალ. ქუთაისში**

(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით.

დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—4)

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) დაავადებულებს, სნეულებით ... ხიხვლის ... ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე მოთი 5—7 საათამდე. ელექტრო... და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № ... ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დაგებას. სიფილისის წამლობა ახალი თოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6-7 ნახ. საათამდე. სერგიევის (სოლოლაკი) ახალი № 9. ტელ. 14...

**ექიმი ი. გ. კონიევი**

იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარაზუბნის ქ. № 3. (24—1...)

**ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგ. გამგეობა**

ამით აუწყებს პატივცემულ წევრთ აღნიშნულ საზოგადოებისას, რომ 25 აგვისტოს (ახ. სტ.) დღით კვირას ნაშუადღევის 2 საათზე ოზურგეთის თეატრში დანიშნულია

**საზოგადო წლიური კრება,**

რომელზედაც განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა, 2) 1918 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 3) ერთი გამგეობის, ორი საბჭოს, სამრევიზიო კომისიის წევრების და მათი კანდიდატების არჩევნები, 4) დივიდენდის დარიგება.

ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგ. გამგეობა.

10 სექტემბერს, დილის 10 საათზე შესდგება

**ამიერ-კავკ. კოოპერატივთა რწმუნებულთა ყრილობა**

რომელზედაც მონაწილეობის მისაღებათ თითეულ მოკავშირე კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი და კიდევ ერთი თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუალებით ნავაჭრისა აღემატება 25,000 მან., ორი წარმომადგენელი, თუ ასეთი აღემატება 50,000 მან. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთი საზოგადოებისა 4-ს არ უნდა აღემატებოდეს (წესდ. მუხ. 29).

დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ წარსულ წელში; 2) კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წ.; 3) განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა; 4) განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა; 5) კავშირის რეორგანიზაცია; 6) კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა; 7) დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა; 8) დამატებითი არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრებისა; 9) დამატებითი არჩევნები მეთვალყურე საბჭოს წევრებისა. კრება, თანახმად წესდების მე 33 მუხლისა, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ რწმუნებულთა დამსწრე რიცხვისა. კრება შესდგება კავშირის შენობაში, მიხეილის პროსპექტი, 178

ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

(2 1)

**განცხადება.**

დროებით გამგეობა თბილისის მილიციის კოოპერატივისა ამით აცხადებს, რომ კვირას 18 ამ აგვისტოს დილის 10 საათზე დანიშნულია მილიციის (ყოფილი პოლიციის) კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება, ამისათვის სთხოვენ მილიციის ყველა მოსამსახურეთ და აგრეთვე ხსენებული კოოპერატივის ყველა წევრებს მილიციონერთ მობრძანდენ კრებაზე ეფიმოვის ცირკის შენობაში.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) კოოპერატივზედ დროებითი ოპეკის მოხსნა, 2) ანგარიშის ჩამორთმევა ეხლანდელი მმართველობიდან, 3) კოოპერატივის გადაბარება მილიციისადმი, 4) არჩევნები გამგეობის წევრების და სარევიზიო კომისიისა.

დროებითი გამგეობა.

**განცხადება**

**ბორჯომის წყლის მყიდველების საყურადღებოთ.**

ჩვენს წარმომადგენლობთან როგორც თფილისში აგრეთვე ყველა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებში იყიდება ბორჯომის წყალი დიდი ბოთლი თავისი ბოთლიანათ არა უმეტეს ორი მანეთისა. აგრეთვე ვაცხადებთ წვრილი მოვაჭრეების საყურადღებოთ, რომ ვინც ბორჯომის წყალს დიდ ბოთლიანათ ორ მანეთ ნახევარზე მეტათ გაყიდის მათ წყალი აღარ მიეცემათ. ვთხოვთ მყიდველებს, რომელსავაჭრომაც ზემოთ აღნიშნულ ფასზედ ზევით გადაგახდევინოთ, გთხოვთ გვაცნობოთ ბორჯომში ღია ბარათით.

10 -2

პატივისცემით დ. ე. ქებაძე.

**ოზურგეთის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან საჭიროა ქალაქის აფთიაქისთვის გამგე-პროვიზორი ჯამაგირი თვეში 500 მანეთი.

მისამართი: ქალაქ ოზურგეთის ქალაქის გამგეობას. 3—

**იყიდება რესტორანი და ბაღი „გახმარო“**

მიხაილოვის პროსპექტი № 199, მუშტაიდის შესავალს. იქვე იყიდება სასწორი (დიდი) გირებით, სამარხვო ზეთი 1 ნახ. ფუთი და ცინკის წყლის შესანახი.

**იყიდება სახლი ოთხი ოთახით.**

იკითხეთ ნაძალადევში, ვლადიმირის მოედანი, სახლი ჯავახოვისა. 2—

**სალიკვიდაციო კომისია თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა**

სთხოვს იმ პირთ, დაწესებულებათ, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია კომიტეტისადმი, ან ფულის ანგარიშები, შეატყობინონ ამის შესახებ წერილობით ერთი თვის განმავლობაში ამა წლის 10 აგვისტოდან დაწყებული კომისიის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 9) დღის 9—2 საათამდე. 10 სექტემბრიდან არავითარი განცხადებანი და პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

სალიკვიდაციო კომისია. (4—


სოც.-დემ. პარტიის სათემო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ქუჩ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.